

K 77189  
2

გამოცემა ქუთათური ამხანაგობისა.

# ს კ ი ზ ე

ანუ კრებული

საემაწვილო მოთხრობათა.

დაწერილი

იაკობ ზოგებაშვილის მიერ.

თბილისი, 1901 წ.

სტამბა შ. შარაძისა და ანხ.

მ. ა. 2019-136328

K 77189  
2

გამოცემა ქუთათური ამხანაგობისა.

# ს კ ი ზ ე

ანუ კრებული

საუმწვეილო მოთხრობათა.

დაწერილი

იაკობ ზოგებაშვილის მიერ.

თბილისი, 1901 წ.

სტამბა მ. შარაძისა და აბს.



უმაწვილებლად

იაკობ გოგებაშვილმა ეს წიგნი თქვენთვის დაწერა. იგი გახწავლით ბოროტების დათრგუნვას, ზიკეთესა და სიყვარულს გააღვივებს თქვენს სულში.

საუმაწვილო მოთხოვნების უმეტესობა ორიგინალურია, დანარჩენი ვადმოკეთებული, ქართულ ხასიათს, სინამდვილესა და ყოფას მორგებული. მათი სიუჟეტი იმდენად ცოცხალი, მარტივი და ლაკონურია, რომ ბავშვებს ადვილად დამახსოვრდებათ. საერთოდ, იაკობ გოგებაშვილი ფიქრობდა, რომ სასურველი იყო ამ წიგნით, როგორც სკოლამდელი ისე, სასკოლო ასაკის ბავშვებსაც ეხელმძღვანელათ.

ჩვენი სურვილი და ამ გამოცემის მიზანიც ესაა.

წიგნი გამოდის ქუთაისის გ. ტაბიძის ხახელობის პოლიგრაფიულ ხარშოო გაერთიანებანთან არსებულ კოოპერატივ „საუნჯეს“ ხარჯებით.

პასუხისმგებელი გამომცემისათვის: ზურაბ რეხვიანი

„სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების  
გამომცემლობა „სარანგი“

ქუთაისი — 1992 წ.

## ჩიტი და ვანო.

(პაწია ბავშვებისთვის)



ოფელზედ მივიდოდი. პატარა პირლია ვანოს მალხაზი ჩიტი ექირა ხელში. ძალიან უხაროდა, ჩიტს კი გული უკედებოდა.

ღავბრუნდი უკან. ვანო მწარედ სტიროდა, ჩიტი კი მახლობელ ხეზედ მხიარულად ჭიკჭიკებდა.

რა მომხდარიყო? ჩიტი გაჰფრენოდა პირლია ვანოსა.

## სანდრო და ვაშლი.



უა დღე იყო. დიდი სიცხე იდგა. მინდვრიდან სახლში მიდიოდა პატარა სანდრო. სიმშლიც ძლიერ აწუხებდა და წყურვილიცა. გზაზედ მეზობლის ვენახში ღობესთან დაინახა წითლად დაკუნწლული ვაშლი. თვალი ზედ დარჩა, პირში ნერწყვი მოუვიდა და კბილებმა კაწკაწი დაუწყო. ვაშლები თითქო უცინოდნენ სანდროსა, იწვევდნენ და ეუბნებოდნენ: ამოხტი, მოგველიჯე, ჩაგვკბიჩე და პირი ჩაიტკბარუნეო.

სანდრო ყოყმანობდა, სხვისი ვაშლის ქურდულად მოკრეფა ეძნელებოდა, ეთაკილებოდა: თავისს დღეში ქურდობა არ ექმნა. ბოლოს ველარ მოითმინა, სულმა წასძლია, ახტა ღობეზედ, მოიწია ტოტი და ოთხი წითლად დაბრაწული ვაშლი მოგლიჯა.

მიღის შინისაკენ სანდრო, სკამს ვაშლსა და თანაც რალაც ჯავრსა გრძნობს, თითქოს გულში ვიღაც უზის და ეუბნება: „ეგ ხომ ქურდობა ჩაიდინეო“. შხამად ეჩვენება ვაშლი საწყალს ბავშვსა, სწუხს თავისს სულწასულობაზედ; მაგრამ რალა ჰქნას? ვაშლებს ხომ ველარ მიამს ხეზედ.

მიღის ასე შეწუხებული. უცებ სანდრო გაჩერდა, რალაც აზრი მოუვიდა, სახე გაუნათლდა. იქნება წამალი უპოვნა თავისს სირცხვილსა?

სანდრომ მოჰკურცხლა ვენახის პატრონის სახლისკენ, მიიღბინა კარებზედ და დაიძახა:

— ნათლი-დედ, ერთი გარედ გამობრძანდი.


— შენა ხარ სანდრო? რა გინდა, ჩემო კარგო? ჰკითხა შინიდგანვე დიასახლისმა.

— ნათლი-დედ, გეთაყვა, ნუ გეწყინება: თქვენს ვენახში განაპირა ხეხილზედ ოთხი ვაშლი მოვგლიჯე პირის გასასველებლად, და სამაგიერო სიკეთეს გადაგიხდით.

— შეგარგოს ღმერთმა, უთხრა კეთილმა დიასახლისმა.

სანდრო დაბრუნდა შინ სვინიდის დამშვიდებული და ტკბილად შეირგო წითელი ვაშლები.

## პატრიოსანი და უპატრიოსნესი.

 ეო ერთი მდიდარი თავადიშვილი; მეტად კეთილი გული ჰქონდა. შოველი ღარიბი და საწყალი ძლიერ ებრალებოდა, მუდამ ჟამს მზად იყო ეშველა გაჭირებულთათვის, შემწეობა აღმოეჩინა ხელმოკლეთათვის. შო-

ველ დღე მისს სასტუმრო დარბაზში გაშლილი იყო სუფრა ღარიბთათვის. იმ სოფელში ბევრი შეუძლებელი გლეხი სცხოვრებდა და ამიტომ სადილობისას და ვახშობისას ეს დარბაზი სავსე იყო ღარიბი სტუმრებითა. თავადიშვილი დიდის სიამოვნებით უმასპინძლდებოდა მათ თვითონ პირადად.

მრთხელ ეს თავადი ცხენზედ შეჯდა და მინდვრად წავიდა. წაადგა თავს ამ სანახავსა: ღრმად მოხუცებულს და ძონძებში გახვეულს გლეხს ხელში უჭირავს წალდი, სკრის გაცხარებით ძეძვებსა და ჰკრავს კონებსა; მუშაკი სულ ოფლშია გაწურული. თავადმა შეაჩერა ცხენი და უთხრა გლეხსა:

— ძმობილო, რისგან არის, რომ ჩემსას შენ ერთხელაც არ მინახავხარ? მანა არ იცი, რომ ჩემს სახლში ყოველ დღე სუფრაა გაშლილი ღარიბთათვის? მასწი ახლავე ჩემსას, სადილობის დროა, იქ შენ გაგაძლობენ საკმლით და სასმლით და ცოტაოდენს ფულსაც გაჩუქებენ.

— მადლობას მოგახსენებთ, ბატონო, უპასუხა გლეხმა. ნუ კი გეწყინება, შენი ჭირიმე, და შენს სუფრას არც წინედ ვწვევივარ და არც ახლა ვეწვევი.

— რატომ? ჰკითხა განცვიფრებით და წყენით თავადმა.

— ნაწყალობები ყელში არ ჩადის, შენი ჭირიმე, უხამად მეჩვენება; მხოლოდ საკუთარი ხელით ნაშოვნს ლუკმას აქვს გემო ჩემს პირში, მხოლოდ იგი შემერგება ხოლმე დედის ძუძუსავით. შიდრე ამ ჩემს ბებერს ხელებს შეეძლებათ ალალი ლუკმა მაქამონ, ჩემი ოფლით ვიცხოვრებ, სხვის კერძს არ მივეტანები, მუქთა-ხორად არ ვადავიქცევი.

ზაოცებულმა თავადმა უკან გასწია ცხენით და სთქვა თავისს გულში:

— მე ჩემი თავი პატროსან კაცად მიმაჩნდა და, აჰა, უპატროსნესი სული ვიხილეო.

## ვასო და ჩიტები.



ასოს დედ-მამას სახლის წინ მშვენიერი ბაღი ჰქონდა. ამ ბაღს გარშემო ერტყა დაბურული ნერგები. ამ დაბურულს ნერგებსა და ხეხილებზედ ბუდეები ჰქონდათ გაკეთებული სხვა-და-სხვა ჩიტებსა, აქ სდებდნენ კვერცხებსა და ზრდიდნენ ბარტყებსა. ღილით-სალამოდინ გაჰქონდათ საამური ჭიკჭიკი და ჟივილ-ხივილი. მაგრამ ეს არაფერი. საქმე ის იყო, რომ საყვარელი საქმელი ჩიტებისა და ბარტყებისა იყვნენ მატლები, ქიები და საზოგადოდ მწერები, რომელთაც სულ მუსრს ავლებდნენ პატარა ფრთოვანნი. ზაინდებოდა თუ არა საიდანმე ბაღში რომელიმე მატლი, ან ქია, ჩიტი მალე მიაგნებდა, დაუნისკარტებდა და ან თვითონ გადაჰყლაპავდა, ან ბარტყებს მიუბრუნებდა. ამ სახით ჩიტები ხეხილს აშორებდნენ მათ მტრებსა, მავნებელს ქია-მატლებსა. ამით დიდ სამსახურს უწევდნენ ბაღის პატრონსა და ხილის მოსავალს ძლიერ ეხმარებოდნენ. ასე მიდიოდა საქმე რამდენიმე წელიწადი. ზოლოს ვენახის პატრონს წამოეზარდა პატარა ვასო, რომელმაც დიდი მტრობა გამოიჩინა ჩიტებისა. ბუდეები სულ ჩამოუშალა, წამ-და-უწუმ ესროდა ქვებსა და ჯოხებსა, მოსვენებას არ აძლევდა, აფრთხოვდა. ჩიტებს ენანებოდათ თავისი სამშობლო აღგი-

ლის დატოვება; მაგრამ მეტი გზა არ იყო! ზულდაწყვეტილები აფრინდნენ და სხვა ადგილას დაბინავდნენ.

რა მომკო მასომა თავისი უგუნური ბოროტებით? საამურს ქიკიკ-გალობას მოაკლდა და ამას გარდა ბაღში გამრავლდნენ ქია-მატლები, ეხვეოდნენ ხეხილებსა და ისე აოხრებდნენ, რომ ბალი მეოთხედ მოსავალსაც აღარ იძლეოდა.

პატრონებმა აქამდისაც არ იცოდნენ, თუ წინად ბაღს რად მოჰყავდა მშვენიერი მოსავალი და რის გამო იკლო ამ მოსავალმა ასე ძლიერ უკანასკნელ წლებში.

ბავშვებო, ნუ დასდევთ ჩიტებსა და ნუ უშლით მათ ბუდეებსა. ისინი ჩვენი მეგობრები არიან, უდიდს სამსახურს გვიწევენ, ძლიერ ეხმარებიან მოსავალსა ხილისასა და ქინახულისასა, რადგანაც უღეტენ ქია-მატლებს, მოსავლის მტრებსა. ამასთან თავისი ქიკიკით სმენას გვიტკბობენ და საამური ფრენით თვალს ასიამოვნებენ.

## სამი მომკალი.



კათათვის საღამო იყო. სამი დაქანცული მომკალი, წელს უკან ნამგალ-გარქობილი, სოფელში შემოვიდა მინდვრიდან და გაეშურა ცივი წყაროსკენ, რომელიც დიდ-ნაკადულად ამოჩუხჩუხებდა შიგ შუა სოფელში. პირველი მომკალი, გათქმული მკაში, მოუთმენლად გაექანა, მივარდა წყაროსთანა, დაემხო პირქვე, დაეწაფა და დიდხანს სვა ყინულივით ცივი წყაროს წყალი. მერმე აღგა და იქვე წყაროს თავზედ წამოწვა. მეორემაც სწორედ ამ სახითვე იჯერა გული წყაროს წყლითა; მაგრამ



არ დაჯდა კი, წყაროს თავზედ დაიწყო სიარული, თუმცა ძლიერ დაღალული იყო. მესამემ წყურვილსა სძლია, ჯერ კარგა ხანი დაისვენა და ბოლოს მადლრად დალია წყალი. პირველს მომკალს იმავე ღამეს ფილტვების ანთება დაემართა და თან გადაიტანა. მეორე ცოტა უქეიფოდ შეიქმნა და მესამეს კი არა ვნებია-რა...

ბა, გამოიცანით, რად აწყინა ცივმა წყალმა პირველს მომკალს ძლიერა, მეორეს ცოტათი და რად შეერგო იგი მესამესა? რა დარიგებას გვაძლევს ეს შემთხვევა?

### ორკეცი ფასი სწავლისა.



ყო ერთი ბრძენი. სიბრძნეს ასწავლიდა. ძლიერ ღარიბი იყო, ცხოვრების სახსარი არა ჰქონდა და ამის გამო სწავლებაში ფასს იღებდა. მივიდა ამ ბრძენთან ერთი ყბელი და სთხოვა, მოწაფედ ამიყვანეო.— „ტარგიო“, უთხრა ბრძენმა, „მხოლოდ სწავლის ფასს ერთი-ორად გამოგართმევო“. „რადაო?“ ჰკითხა ყბელმა.— „იმიტომაო“, უპასუხა ბრძენმა, „რომ შენზედ ორკეცი ჯაფა დამჭირდება: ჯერ უნდა გადაგაჩვიო უთავბოლო ყბედობასა და მერე გასწავლო ჰკვიანი ლაპარაკიო“.

### სიკეთე ბოროტისათვის.



ერთს სკოლაში მარო სწავლობდა. ძლიერ ლამაზი გოგონა იყო; მაგრამ გული კი ბოროტი ჰქონდა. მეტად თავი მოჰქონდა სილამაზითა, ნაკლე-

ბად ბეჯითობდა და წამდაუწუმ დასცინოდა თავისს ამხანაგებსა. მეტადრე ამოჩემებული ჰყავდა პატარა ელამი ქატო; რამდენჯერ დაუცინია გულ-საკლავად და უტირე-ბია ცხარე ცრემლითა.

ამხანაგებს ქირივით ეჯავრებოდათ ბოროტი შარო.

ზაჩნდა ერთხელ ყვავილი. შაროს აცრილი არა ჰქონდა დედ-მამის დაუდევრობით. შეხვდა ყვავილი და ისე დაუჯღანა პირის სახე, რომ კაცი ველარც კი იცნობდა. შაჩოფურავებულმა ბავშვმა დაჰკარგა სამუდამოდ სილამაზე, რითაც ამპარტაენობდა, და საშინელს მწუხარებაში ჩავარდა.

მორჩენის შემდეგ მშობლები შაროს სკოლაში გზავნიდნენ; მაგრამ ცივს უარხედ იდგა: თან რცხვენოდა და თან ეშინოდა ამხანაგებისა. ბოლოს, როგორც იყო, გაგზავნეს სკოლაში. შიდის შარო სკოლისაკენ და გულში უტრიალებს შიშის ალი: ჩემი ამხანაგები რომ დაკენკილს სახეს დამინახვენ, ხარხარს შეჰქმენ, მასხარად გამხდიან, წინანდელს ჯავრს ამოიყრიან და გულს სულ ჩამიფუფქავენო.

შევიდა სკოლაში გაფითრებული და აკანკალებული შარო, მაგრამ დახე გაოცებასა! მოლოდინი არ აუსრულდა, შიში არ გაუმართლდა. ამხანაგებმა შარო რომ დამახინჯებული დაინახეს, არამც თუ დაცინვა არ დაუწყეს, სიბრაღულით აევსოთ გული და სცდილობდნენ აღერსით ენუგემებინათ. შევლაზედ მეტს თანაგრძნობას უჩვენებდა ელამი ქატო. შაროს გული ამოუჯდა სიხარულისაგან და ორივ თვალებიდგან შვების ცრემლი წასკდა.

## მეგობრების ღვეწა.



როს ვენახში სცხოვრებდნენ: ზღარბი, თხუნელა და მიწის ბაყაყი, ანუ გომბაშო. ზღარბი გველებსა ჰხოცავდა, თავგებს კატასავით მუსრს ავლებდა, ლოკოკინებსა და ქია-მატლებს ბევრსა ჰყლაპავდა. თხუნელა მიწაში დაძვრებოდა და ჟღერდა ყოველ გვარ ქიანლუასა, რომელნიც ვაზის და ხეხილის ფესვებს ემტერებიან, აფუჭებენ. გომბაშო ღამ-ღამობით ბოსტანში ნადირობდა და ყოველ საათში ოცზედ მეტს ქიასა და მატლს იჭერდა, ჰკლავდა და სჭამდა. სამივენი ვენახისთვის დიდად სასარგებლონი იყვნენ და მის პატრონს ძვირფასს სამსახურს უწევდნენ. მაგრამ ეს არ იცოდა ბალის პატრონის ვაჟმა, უვიცმა და აბეზარმა მანომა. მს გადაემტერა სამივეს ფრიად სასარგებლო ცხოველსა და იქამდინ არ მოისვენა, ვიდრე ყველანი არ გამოასალმა სიცოცხლესა, თავისი ვენახის საზიანოდ და ოჯახის საზარლოდ.

ბავშვებო, ხელს ნუ აძლებთ ზღარბსა, თხუნელას და მიწის ბაყაყსა; მოსისხლე მტრები არიან ჩვენის ვენახების და ქინახულის მტრებისა, ჟღერენ მათ, მოსავალს ეხმარებიან, დიდს სიკეთეს გვიშვრებიან.

## მ კ ი თ ხ ა ვ ი.



რომა ქვრივმა თავისი თავი მკითხავად გამოაცხადა: „მეო“, ამბობდა, „ყველაფერი ვიცი: ისიც, რაც გადახდენია ადამიანსა, ისიც, რაც ახლა მისს თავს არის, და ისიც, რაც შემდეგში მოეღისო. მითი სიტყვით, სრულს

კოდნას იკვებდა წარსულისას, აწმდგომისას და მომავლისასა. ხალხს სჯეროდა მკითხავის სიტყვები და ბაწარადებით მიდიოდა მასთან, მიჰქონდა ფული, ხორაგეულობა და აკითხვინებდა. მდიდრდებოდა მკითხავი, ზარალობდა ხალხი. შეგნებული ადამიანები ეუბნებოდნენ ხალხსა: ნუ დადიხართ მაგ მატყუარასთან, ნუ იხარჯებით, არაფერი არ გაეგება და არაფრის შეტყობა არ შეუძლიაო. მაგრამ ხალხი არ უჯერებდა და მუდამ ფუს-ფუსი გაჰქონდა მკითხავის კარებზედა.

მრთს ღამეს მკითხავის სახლს ცეცხლი წაეკიდა და ისე სწრაფად გაძლიერდა, რომ მკითხავიც ცოტას გაწყდა შიგ არ დაიხრაკა, ძლივ-ძლივობით გამოასწრო გარეთა. სახლი მთლად ჩაიბუგა.

„აკი ყველაფერი იცოდი, ქალბატონო, რატომ წინად არ შეიტყე, რომ შენს სახლს ცეცხლი გაუჩნდებოდა? აი, შე მატყუარა, შენა! ახია შენზედ ეგ ცეცხლი. ჰე, გექცა თუ არა ნაცრად არმობით შეძენილი ქონება!“ მუბნებოდნენ აქეთ-იქიდან მოტყუებულნი.

## სპილო და ჭიანჭველები.



ინდორში ამალმებული იყო ბეგობი. ამ ბეგობში ჭიანჭველებს ბუდე ჰქონდათ. იმავე მინდორში სპილო სძოვდა. სპილო მიუახლოვდა ჭიანჭველების ბუდეს, უნდა ფეხი დაედგა და დაენგრია. ჭიანჭველები მოეგებნენ წინ სპილოსა და შეეხვეწნენ: „დიდო ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებს, გზა აგვიქციე, ბუდეს ნუ დაგინგრევ, ჩვენსა და ჩვენის შვილების ცოდოში ნუ ჩასდგებიო“.

სპილომ გულქვაობა გამოიჩინა, ყური არ ათხოვა ქიანქველების ვედრებასა და სთქვა: „რად უნდა შევისმინო ამათი თხოვნა, ერთი წიწკნანი არიან, სამაგიეროს გადახდა არ შეუძლიანთ, ისევ ისა სჯობია, ჩემი ძალა მათზედ გამოვიჩინოვო“. ღაადგა თავისი ტლანქი ფეხები ქიანქველების ბუდეს და ჩაუნგრია.

ჭიანქველები საშინლად გაბრაზდნენ სპილოზედ და სამაგიეროს გადახდას შეუდგნენ. მიეხვივნენ, აუცოცდნენ ტანზედ ფეხებიდან, ზოგი ყურში შეუძვრა, ზოგი ცხვირში, ზოგი პირში და დაუწყეს უწყალოდ კბენა.

სპილო ბევრს ეცადა, როგორმე მოეშორებინა თავიდგან თავისი მწვალებლები, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა. ჭიანქველები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ჰკბენდნენ და ჰკბენდნენ სპილოსა ნახს ადგილებში, არც დღისით და არც ღამით მოსვენებას არ აძლევდნენ. სპილომ ახლა კი ცხადად დაინახა, რომ პატარა სულიერებსაც შესძლებიათ სამაგიეროს გადახდა, ბევრი ინანა, რად ვუმტრე ქიანქველებსაო, მაგრამ გვიანლა იყო.

ჭიანქველები თავისას არ იშლიდნენ და შეუსვენებლივ საშინლად სტანჯავდნენ სპილოსა: დაუსრულებელმა სიმწარემ, რამდენისამე დღის მოუსვენრობამ მთლად გადარია სპილო, აღარ იცოდა, რა ექმნა, გიჟივით დარბოდა უგზო-უკვლოდ და კლდეზედ გადავარდნა ელოდა.

მაშინ სპილომ იკადრა თავის მომდაბლება, დაუჩოქა ქიანქველებსა და შეევედრა მათ დიდითა ვედრებითა: „ოღონდ ეხლა კი მაპატიეთ და გეფიცებით, რომ ჩემს სიცოცხლეში იოტის ოდენას აღარას გაწყენინებთო“.

ჭიანქველებმა უპასუხეს: „კარგი, სასჯელად მაგ ტანჯვას გაკმარებთ, შენსავით გულქვაობას არ გამოვიჩინთ,

შეგიბრალებთ და გაპატივებთ, მხოლოდ ამ პირობით: დღეის შემდეგ შენ აღარ უნდა გაბედო არამც თუ ჩვენი წყენა, არამედ არაფერი არ უნდა დაუშაო სხვასაც, მეტადრე პატარასა და სუსტსაო\*.

სპილომ ხელმეორედ შეჭფიცა და თავდებად მისცა მალლა ცა და ძირს დედა-მიწა.

მაშინ გამარჯვებული ქიანქველები დაეხსნენ სპილოსა, ჩამოვიდნენ ძირსა და მხიარულად წავიდნენ ახალის ბუდის ასაშენებლად. ჭიანქველებს ისე თავისი ძალის გამოჩენა უზარმაზარს სპილოზედ არ უხაროდათ, როგორც ისა, რომ სულგრძელობით და გულკეთილობით აჯობეს მას.

იმ დღის შემდეგ სპილო შეიქმნა მეტად მომთმენი, სულგრძელი, მშვიდი და უწყინარი ცხოველი.

## ბატი და ღორი.



ბატი წყალში ცურავდა. უცებ რაღაც წყენა მოაგონდა, თავი მალლა აიყელყელავა და გაბრაზებულმა წამოიყიყინა: „აი ის ურცხვი, ისა!“

— ვინაო? ჰკითხა ღორმა, რომელიც თავით-ფეხებამდინ ტალახში ამოსვრილი წყლის პირას დინგით სანეხვესა სჩიჩქნიდა.

— ვინა და ჩვენი პატიოსანი ქალბატონი. ღღეს დილით მოახლეს უჯავრდებოდა და იცი რა უთხრა? ბატივით უტვინო ხარო, გეყურება, ბატივით უტვინოო! ურცხობა მეტი იქნება?!

— მღონდაც რომ ეგ შენთვის ძლიერ საწყენია,

უპასუხა ღორმა, მაგრამ უნდა გაგიტყდე და სულ ქვეშ  
გითხრა, რომ ქალბატონს სწორედ მართალი უთქვამს.  
ბატი რომ უტვინოა, ეს მთელმა ქვეყანამ იცის. ღიახ,  
სამწუხაროდ, სრული ქვეშარიტება უთქვამს.

— ჭეშმარიტებაო! მაშ ისიც იცოდე, რომ ზედ ქალ-  
ბატონმა დაუმატა: „და ღორივით მურტალიო“. ბაიგე,  
ღორივით მურტალიო?

— რაო? ღორივით მურტალიო?! ბანა ეგეც მიჰქა-  
რა? ღედა, დედა! რა ცოცხალი ტყუილი სცოდნია, თქვე-  
ნი ჭირიმე. არა, შენ სწორედ მართალი სთქვი: აი, ის  
ურცხვი, ისა!

### ევაჩალია მკილავი.

**მ**იქვანარში შავი შაშვი კოპწიად იჯდა ერთს გან-  
მარტოებულს ტოტზედა და გაჰქონდა საამური  
სტვენა, მშვენიერი ჭახჭახი. მისი წკრიალა ხმა  
ჰვენდა გარშემო ღხენასა და სიხარულსა. შველა ფრინ-  
ველი სულგანაბული უგდებდა ყურსა, სტკებოდა და  
ჰმადლობდა ოსტატს მგალობელსა.

— მიშ, გენაცვალეთ! ილაჯი კი გასწყვიტა ამ მე-  
ტიჩარა უსტვინემ თავისი უმსგავსი ჭყვილით და! წაი-  
ლო, სწორედ წაილო ყურთა სმენა, წამოიძახა ხმა-მალა  
ბოხის ხმით ყვავმა, რომელიც იქვე ტყეში გამხმარს ტო-  
ტზედ მედიდურად დასკუბებულიყო.

— მე ვისა ჰკიცხავ, ბატონო, და ვის უწუნებ  
გალობასა? ჰკითხა განცვიფრებით ყვავსა იქვე ახლო  
მჯდომარე ზრდილობიანმა გვრიტმა.

— მისა და, აი, იმ მჩხავანა შაშუნისა, უპასუხა ბრიყვულად ყვავმა.

— რადა, ბატონო? შველას მოსწონს შაშვის გალობა, ყველა მადლიერია მისი და თქვენ კი აგრე ცუდად იხსენიებთ. რამდენი საუკეთესო მცოდნესაგან გამიგონია, შაშვი ბულბულივითა გალობსო, უთხრა გვრიტმა.

— ბულბულივითაო? ბანა ბულბული რაღა ვგონია? ის არ არის, რომ მთელი ღამე სევდიანის ხმით გაჰკივის, კვნესის და ოხრავს? ის არ არის, რომ მხეს ემაღლება და მთვარეზედ გახელდება ხოლმე და ძილს გვიფრთხობს თავისი დაუსრულებელი გლოვის წრიპინითა? მხოლოდ უმეცარს და უნიქოს მოეწონება ბულბულის გალობა, მე კი ღმერთმა მაშოროს, ღმერთმა მაშოროს.

— თქვენ, როგორც გეტყობათ, გყვარებიან მხიარული მგალობელი, დღისით მომღერალი. მაშ ტოროლა უნდა ძლიერ მოგწონდეთ. ხომ გაგიგონიათ ტოროლას გალობა, ჩემო ბატონო?

— ოჰ, ხშირად, ძალიან ხშირად, ჩემდა საუბედუროდ. აბა, ერთი ის არის საუნჯე! შაბამს, ვაჟო, ბაწარ-აღებით და სულ ერთსა და იმავეს ჩხავის და ჩხავის. მჯდომარე მაინც გაჰკიოდეს, ის წყეული, აეხეტება ზეცაში და სულ თავზედ დაგვჰკივის. პიდევ კარგი, რომ ხშირად ღრუბლებს ზევით ასცილდება ხოლმე და მისი ჰყვილი აღარ ისმის, თორემ სწორედ ქლექს გამიჩენდა. საშინელებაა, საშინელება!

— თქვენი უცნაური მსჯელობა ისე მაოცებს, ჩემო ბატონო, რომ ქეშმარიტად, არ ვიცი. რა ვიფიქრო და რა ვსთქვა, უპასუხა გვრიტმა.

— მასაოცარი აქ სულაც არაფერია. ვაჟო, როგორ




შეუძლიან ან შაშვსა, ან ბულბულსა და ან ტოროლას კარგნი მგალობელნი იყვნენ. მრთი წიწკნანი არიან, პაწია ხმა აქვთ და მხოლოდ წვრილი და სუსტი სტვენა იციან. ნამდვილს მგალობელს ტანი უნდა მსხვილი ჰქონდეს, ყელი განიერი, ხმა ბოხი და ძლიერი, დაუმატა ამაყად ყვავმა და თავ-მოწონებით დაიხედა თავისს ტანზედ.

— ხა! ხა! ხა! ხა! ჩაიხარხარა გვრიტმა. მივხვდი, მივხვდი, ახლა კი კარგად მივხვდი. აბა, სხვისი გალობა რაღად მოგეწონებათ, როდესაც ნამდვილი მგალობელი თქვენი თავი გგონიათ და „ყვა-ყვა“ საუცხოვო გალობად მიგაჩნიათ. მაშ გაუმარჯოს შეუღარებელს მგალობელსა, უნიკიერესს ყვაჩალიასა, შესძახა გვრიტმა გულსაკლავი დაცინვითა. სხვა ფრინველებმაც ბანი მისცეს, დაჰკრეს კიჟინა ყვაჩალია კრიტიკოსსა და მასხარად აიგდეს.

— ბრიყვნი, უვიცნი! ჩაიბოხბოხა გაბრაზებულმა ყვაჩალია კრიტიკოსმა, იკადრა აფრენა და შერცხვენილმა მოჰკურცხლა იმ არე-მარედგანა.

## უძლიერესი სიუჟარული მოყვასისა.

(წმიდათა ცხოვრებიდან)

 მიღა შილარეტს ღრმადა ჰქონდა გულში დამარხული მაცხოვრის მცნება: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცათავი შენიო, და მთლად გადაგებული იყო გლახაკებსა, დავრდომილებსა და სხვა გაჰირვებულებზე. ღედ-მამისაგან დიდი სიმდიდრე დარჩა, თვითონაც მეტად გამრჯელი იყო; მაგრამ ისეთი უხვი გაცემა იცოდა თავი-

სის სარჩო-საბადებლისა, რომ ბოლოს სრულიად გაღატაკდა, აღარაფერი გააჩნდა თავისს ბედზედ, გარდა ძველის ქოხისა და უბრალო ტანისამოსისა.

მრთხელ მეტად ცივი ზამთარი იდგა. ზილარეტთან მივიდა ერთი მათხოვარა, რომელსაც დაფხრეწილი ჩოხიღვან ბევრს ადვილას უჩანდა ტიტველა ხორცი, დალურჯებული ყინვისაგან. ზილარეტს სიბრაღულით აეგისო გული, იმ წამსვე გაიხადა თავისი ერთად-ერთი პერანგი, ჩააცვა გლახაკსა და თვითონ დარჩა ძველის ტანისამოსის ამარა.

ბავიდა რამდენიმე ხანი. ღალამდა ახალი წლის დღე. შუალამე გადასულიყო, საშინელი ყინვა იდგა. შველა მცხოვრებნი ღრმა ძილს მიეცნენ. არ ეძინა მხოლოდ ზილარეტსა. იგი მოწიწებით იყო დაჩოქილი ღვთისმშობლის ხატის წინა და მღულარე ცრემლით ევედრებოდა უჭალსა. იგი შესთხოვდა, რათა ცისა და ქვეყნის გამჩენს ახალი წლის განმავლობაში მომეტებული მოწყალება მოედო ქვეყანაზე, მეტი შვება და ღებენა მიეცა ადამიანთათვის და უფრო მეტად შეეყვარებინა კაცთათვის ერთმანეთი.

შცებ ზილარეტის სადგურის კარები ვიღამაც დაარაკუნა. ზილარეტი ისე იყო გატაცებული მხურვალე ლოცვითა, რომ ვერა გაიგო-რა. მალე უფრო ძლიერი რაკუნნი გაისმა. ზილარეტმა შესწყვიტა თავისი ლოცვა, კარი გაუღო ღამის მოულოდნელს სტუმარსა და თავისთან შეიწვია. სტუმარი გამოდგა სნეული გლახა, რომელიც თავით-ფეხამდე კეთროვნების წყლულებით იყო შეპყრობილი. პეთროვნება გადამდები და მოურჩენელი

ავადმყოფობაა და ვისაც შეხვდება, ცოცხალს ალბობს. ამაზე უსაშინელესი ავადმყოფობა აღარ შეიძლება.

„სიცივით ვკვდები, შემობრალე, გამათბე“, შეეხვეწა **ზილარეტს** სნეული, გახვეული ერთს ფარღალალა ძონძში. **ზილარეტის** ქოხში ისეთი სიცივე იდგა, რომ წყალსა ჰყინავდა. რაც შეშას შოულობდა, სულ ერთიანად ქვრივ-ობლების სახლებში მიჰქონდა და იმათ უთბობდა სადგურებსა. უშეშობის გამო ცეცხლის ანთება **ზილარეტს** არ შეეძლო. **ლოგინიც** არა ჰქონდა, რომ ჩაეწვინა და გაეთბო ავადმყოფი. **თავისი** ლოგინი დიდი ხანია დაერიგებინა ლარიბებისთვის. **სნეული** გლახა კი ისე საშინლად კანკალებდა, რომ თუ მალე არ გათბებოდა, სული ამოუვიდოდა.

**ზილარეტი** მთლად შეიპყრო უზომო სიბრალულმა და თავისი თავი სრულიად დაივიწყა. მან მიიყვანა სნეული, დააწვინა ქილობზე და თვითონაც გვერდით მოუწვა. **ზაახსნევენა** წინადგან დაფლეთილი ტანისამოსი, თავისი ტანისამოსის წინა ღილებიც გაიხსა, სნეულის გულმკერდი; კეთროვნებით დაწყლულებული, ჩაიხუტა თავისს გულმკერდში, რომ თავისი სხეულის სითბოთი გაეთბო გლახაკი და სიცივისაგან სიკვდილს გადაერჩინა. **ზათბა**, მოცოცხლდა და მადლობით აივსო საწყალი კეთროვანი. **მაგრამ** უცებ მოხდა ისეთი რამ, რამაც **ზილარეტი** გაოცებიდან გამოიყვანა. **კეთროვანი** შეუმჩნევლად განშორდა **ზილარეტსა**, მიიღო **მაცხოვრის** სახე, გაუნათა ქოხი ბრწყინვალე სინათლით, ზევით-ზევით წავიდა და გახსნილი ქერიდგან ამალდა. **თანაც** ზეციდგან მოესწა განცვიფრებულს **ზილარეტსა**: „**ნეტარ** იყვენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ!“

ბღმონა, რომ კეთროვანის სახით გამოცხადებოდა  
წილარეტს თვით მაცხოვარი, რათა იგი გამოეცაღნა,  
სადამდინ მიდიოდა მისი სიყვარული მოყვასისადმი.

წილარეტმა ამის შემდეგაც კარგა ხანი იცოცხლა,  
აუარებელი სიკეთე დასთესა და ყველას აოცებდა მოყ-  
ვასთა უზომო სიყვარულით. როცა იგი გარდაიცვალა თა-  
ვისს ქოხში, ძონძებში გახვეული, ზევიდგან დაადგა შა-  
რაიანდელი ბრწყინვალე ნათლისა, ნიშნად იმისა, რომ  
უძლიერესმა სიყვარულმა მოყვასისამ სიწმიდე და უმაღ-  
ლესი ხარისხი ცხონებისა მიანიჭა.

## მონადირე.



ველს დროს ერთს ყმაწვილს მებატონეს სული  
მისდიოდა მარჯვე მონადირის სახელისათვის. მა-  
გრამ, მის საუბედუროდ, შვილდ-ისრის ხმარება  
და ნადირობა სრულიად არ ეხერხებოდა. რაც უნდა ახ-  
ლო მანძილიდან ესროლა ისარი ნადირისათვის, უთუოდ  
ააცდენდა.

ამ ყმაწვილს ჰყავდა ერთი შინაყმა ზიგუა, რომე-  
ლაც ყოველთვის თან დაჰყავდა სანადიროდ. ზიგუა სა-  
ოცარს სიმარჯვეს იჩენდა ნადირობაში: რაც უნდა შო-  
რიდან ამოეღო ნიშანში ნადირი, ისარს არ ააცდენდა.  
მაგრამ ეს თავისი იშვიათი სიმარჯვე ზიგუას სულ არა-  
ფრად მიიჩნდა. თავისი ბატონის საამებლად ნანადირე-  
ზედ ყოველთვის ამბობდა: სულ ჩემი ბატონის დახოცი-  
ლიაო. ბატონი ცას ეწეოდა სიხარულით და თავს იწო-  
ნებდა ტოლ-ამხანაგებში თავისი მარჯვე ნადირობით.

მრთხელ ბატონი თავისი შინაური ყმით სანადიროდ წავიდა. მალე მთაზედ დაინახეს გადმომდგარი მშვენიერი ხარ-ირემი დიდრონის რქებითა. ბატონმა ესროლა შვილდ-ისარი; მაგრამ ისე შორს ააცდინა, რომ ნადირმა ვერაფერი შეიტყო და ყურიც არ გაიბერტყა. ახლა ამოილა მიზანში ზიგუამა, სტყორცნა ისარი და შიგ გულში გაურქო ირემსა. ირემი დაეცა მიწაზედ და სული დალია.

ირემი სალამოზედ შინ მოიტანეს ურმითა. ბედად სტუმრები ბევრი ეწვია ჩვენს მონადირეს და მათთან იგი ირმის მოკვლას ჩემულობდა და კვებულობდა. დასხდნენ ვახშამზედ და შეექცეოდნენ სხვა-და-სხვა გემრიელს საქმელსა, ირმის წვადებსა და კულებით არაკრაკებდნენ წითელს ღვინოსა. ზიგუა კი სულ ბოლოს კუნჭულში იჯდა და ვახშამა ჰქონდა მოტანილი მქადი და ცივი წყალი. საწყალს თვალები ებრიცებოდა მდიდარი სუფრისაკენ. ბოლოს თამადამ წარმოსთქვა ხელ-მეორედ: ღმერთმა კიდევ და კიდევ გაუმარჯოს ჩვენს მასპინძელსა და ბევრი ხარ-ირემი მოაკვლევინოს თავისი შეუდარებელი მარჯვენითაო. მასპინძელმა თავ-მოწონებით გადაუხადა მადლობა, მოიყუდა კულა და წითელს ღვინოს საამური რაკრაკი დააწყებინა.

ზიგუამ ველარ მოითმინა, წამოხტა თავისი ადგილიდან და აღელვებული ხმით დაახალა კამპანიასა: „ვინ მოჰკლა ხარი-ირემი, ვინ არაკრაკებს კულასაო!“

## თავის გაწირვა მტრისათვის.



რი ყმაწვილი გადამტყრებული იყო ერთმანეთზე. სადაც კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, უთუოდ ჩხუბი უნდა მოსვლოდათ. მრთხელ მდინარის პირს წაიკიდნენ და დაიტაკნენ. ბევრი იბრძოლეს, თავბრუ დაესხათ, ველარა გაიგეს რა და ორნივე ერთად უცებ მდინარეში გადაცვივდნენ. მრთი მალე გამოვიდა ნაპირასა, რადგანაც ცურვა იცოდა; მეორე კი წყალმა წაიღო და იხრჩობოდა. ღიდთავანი ახლო-მახლო არავინ შეესწრო, ყმაწვილები კი იყვნენ იქა, ზოგმა ცურვაც იცოდა, მაგრამ წყალს ვერავინ შეებედა, ყველას ეშინოდა: მდინარე აღიდებულ მიქუხავდა და მიშველება მეტად სახიფათო იყო თვით კაი მცურავისათვისაც. წყალწაღებულ ყმაწვილს დალუპვა მოელოდა.

მაგრამ მას მსხნელად აღმოუჩნდა ის, ვესგანაც ამას სრულიად არავინ არ მოელოდა. ნაპირზე გამოსული ყმაწვილი თავისი პატარა მტრის სიბრალულით აივსო, კეთილმა სურვილმა გაიტაცა და აღიდებულ მდინარეს არ შეუშინდა: იძრო სწრაფად ტანისამოსი, გადიწერა პირჯვარი და გადაეშვა წყალში.

მაგრამ ვაი ამ გადაშვებას! მდინარემ იმ წამსვე დაპროწიალა, ჩააყურჭუმელავა და ძირ-ძირ წაიღო. „ვაიმე, ამასაც დაახრჩობს!“ შეჰკივლეს ბავშვებმა. მაგრამ მამაცმა ბავშვმა მალე ისევ ამოიყურჭუმელავა, წყალს ზევით მოექცა და მარჯვედ მოუსვა ხელ-ფეხი. მდინარემ რამდენჯერმე კიდევ დაჰფარა თავისი ტალღებით პატარა მცურავი; მაგრამ იგი ახლაც არ შეშინდა და, როგორც იყო, მიუახლოვდა გაბნედილ ბავშვსა. ცალი ხელი მაგ-

რა ჩასკიდა და მეორე ხელით და ფეხებით იწყო ცურვა ნაპირისაკენ.

საქმე ახლა უფრო გაძნელდა. წყალმა არა ერთხელ გამოსტაცა ხელიდან ბავშვი, არა ერთხელ აუღესო პირი და შეუფუბა სული; მაგრამ უშიშარი და თავგანწირული ყმაწვილი ბოლოს მაინც ეწია თავისს სასიქადულო გულის წადილსა: გადაარჩინა თავისი პატარა მტერი დახრჩობასა და ცოცხალი გამოიყვანა ნაპირზე.

იქ მყოფი ბავშვები, აღტაცებულნი ასეთი სამაგალითო საქციელით, მისცვივდნენ ყმაწვილს, გადაეხვივნენ და მხურვალე გადაკოცნით დააჯილდოვეს.

ამ დღიდან წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქმნენ გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ სიკვდილამდე.

## მარო და მერცხალი.



პატარა მაროს მიუყვანა ძმამ მერცხლის ბარტყი. მაროს ძლიერ უყვარდა პატარა ფრინველები და ამიტომ სათუთად გაზარდა მერცხალი და გააშინაურა. სრულიად გაჩვეული მერცხალი არხეინად დაფრინავდა ოთახებში და თავისი ჭიკჭიკით ამხიარულებდა მთელს სახლსა. მარო ანებივრებდა მერცხალსა, ეალერსებოდა და საუკეთესო საქმელს არ აკლებდა. მერცხალმაც ძლიერ შეიყვარა პატარა კეთილი გოგონა და სულ იმის ჭარშემო ტრიალებდა; ხან თავზე აჯდებოდა, ხან მხარზე, ხან ხელზე, ხან წინ მიუფრინავდა, ხან უკან მო-

ექცეოდა, ხან ზევიდან დასტრიალებდა, თითქო თავს ევლებათ.

ბსე ტკბილად ატარებდნენ ღროს კაი ხნის განმავლობაში პატარა გამდელი და მისი ჭიკჭიკა შვილობილი; მაგრამ ამ სიტკბოებას მალე მოეღო ბოლო, საუბედუროდ.

მრთხელ მარო ტახტზედ იყო ჩამომჯდარი და ბანქოების ხუხულას აკეთებდა. უნდოდა აეგო ჩინებული ორ-სართულიანი ბანქოს შენობა; მაგრამ ძლიერ გაუძნელდა დამთავრება ამისთანა შენობისა, თუმცა მაროს ხუხულების კეთებაში ბადალი არა ჰყავდა. თუნდა ათჯერ აიყვანა ხუხულა ზემო ბანამდინ, მაგრამ სწორედ დახურვის ღროს ჩაეფუშებოდა ხოლმე და ფუჭად მისდიოდა იმოდენა შრომა და წვალება. სხვა უამისო თავს დაანებებდა, მაგრამ მარო მეტად შეუბოვარი ბავშვი იყო და რასაც მოიწადინებდა, უთუოდ უნდა შეესრულებინა. ამიტომ ხუხულას თავი არ დაანება და იმდენი ეცადა და ეწვალა, ვიდრე გულის წადილს ეწეოდა. აიყვანა მალალი კედლები, გაუკეთა კარები და ბოლოს გადახურა ზევიდან ბანი ისეთი სიფრთხილით, რომ არც ერთი ბანქო იოტის ოდენად არ შეუნძრევია. დამთავრდა, დასრულდა მალალი ორ-სართულიანი და მეტად შნოიანი ხუხულა; მაგრად და ლამაზად იდგა და ჩაფუშვის შიში აღარ იყო.

მაროს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დიდებულის მცხეთის ტაძრის აღმშენებელსაც კი იმაზე მეტი სიხარული არ გამოუვლია, რასაც ამ წამს მარო გრძნობდა. „როგორ გაიხარებს დედაჩემი, როცა ამ მშვენიერს ხუხულას ნახავს“, იფიქრა მარომ, და ზეზე აღგომა იწყო, რომ დედისაკენ გაქანებულიყო, მოეყვანა, ენახე-



ბინა თავისი ხუხულა, თავი მოეწონებინა და გაეხარებინა. მაგრამ სწორედ ამ დროს თაროდან წამოვიდა მერცხალი და ხელზე უნდა დასჯდომოდა მაროსა. ამითი უნდა ეჩვენებინა მერცხალს თავისი გამდლისათვის, რომ მასაც მოსწონს მისი ჩინებული ხუხულა და მისს სიხარულს თავისს სიხარულსაც უერთებს. მაგრამ ლმერთმა თქვენს მტერსაც ნუ მისცევს ის სიხარული, რაც მერცხალმა მაროს მიაყენა: ხელზე დაჯდომის დროს ერთი თავისი ფრთა მოახვედრა ხუხულის ბანსა და ერთის თვალის დახამხამებაში მთელი შენობა რახარუხით ჩაიშალა ბანიან-კედლებიანათ.

მცხეთის ტაძარი რომ დანგრეულიყო თავისი დამთავრების დროსა, მისი სახელოვანი ოსტატი არ გამოსცდიდა იმაზე მეტს სიმწარეს, რაც პატარა მარომ იგრძნო თავისი ხუხულის ჩაშლით. ჯერ თითქმის გული შეუწყუბდა, მერმე ეს გულის წუხილი სიბრაზედ გადაექცა და თავისი ბრაზი იყარა იმაზე, ვინც უნებლიედ ჩაუფუშა ხუხულა. მისწვდა თავისს საყვარელს მერცხალს, სტაცა ხელი და რამდენჯერმე დაურიდებლად ჩაუთათქუნა თავში. ნაზმა ფრინველმა ვერ აიტანა ცემა, დაეცა ძირს, იწყო საცოდავად ფრთხიალი, მერმე გაიბნინდა, გაიშოტა და სული დალია.

„ვაიმე, დედავ, მოვკალი ჩემი ქიკქიკა“, — ამოიკენესა მარომა და წასკდა მდულარე ცრემლები თვალებიდან; მერმე ხვეწნა დაუწყო თავისს საყვარელს ფრინველსა: ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, მოცოცხლდი, გამოიღვიძე და გეფიცები, რომ კვლავ არასოდეს აღარ გახლებ ხელს და სიყვარულის მეტს არას გიჩვენებო. მაგრამ მე-

რცხალი ვაფიჩხებული იყო და ველარ მოასულიერა მაროს აღერსმა და ტირილმა.

მარომ გამოიტირა თავისი უბედური შვილობილი, მერმე წაიღო და დამარხა ბაღში ალუბლის ქვეშა. ხშირად დადიოდა შემდეგ შიაც მერცხლის საფლავზე და სწუხდა თავის დანაშაულობაზე.

ეს უბედური შემთხვევა ისე ღრმად ჩარჩა გულში მგრძნობიარე მაროსა, რომ ამის შემდეგ ქირივით შესძულდა გაბრაზება.

## კრუხების ბრძოლა ქორთან.



რი კრუხი გამოვიდა საქათმიდან და თან გამოიყოლა ოციოდე მოჩიტული წიწილა. ბადაიარეს კალო და შეესივნენ ნაფუზარსა, სადაც საკენკი ბლომად ეგულებოდათ. მშვენიერი მზიანი დღე იდგა და კრუხ-წიწილები მხიარული კრიხინით და წივ-წივით ჰქეკავდნენ მიწასა, პოულობდნენ მარცვლებსა და ქია-ლუასა და სწრაფად გზავნიდნენ ჩინჩახვში.

უცებ ეს მყუდროება დაირღვა და ერთი აღიაქოთი ასტყდა. რა მოხდა? საიდგანდაც გაჩნდა წყეული ქორი.

ამ ორს დედალს წინადაც არა ერთხელ დასცემია ქორი და ისინი გულ-გახეთქილები გაქცეულან და დაშალულან ან საქათმეში და ან სხვა შენობაში. ღა ან რა უნდა ექმნათ საწყლებსა? მათამს არც მკრელი ნისკარტი აქვს, არც ბასრი ბრჭყალები ასხია, არც ღონიერი ფრთების პატრონია. მართი სიტყვით, საწყალი, სუსტი, უიარაღო სულდგმულია. მორს ახლაც იმედი ჰქონდა, კრუხე-

ბი გამეტყვევიან და მათ წიწილებს ღონიერად მივაძღე-  
ბიო: მაგრამ ანგარიში გაუტრუვდა. წინად მარტონი ყო-  
ფილან ეს დედლები, ახლა კი თან თავისი საყვარელი  
წიწილები ჰყავდათ. ამიტომ კრუხები არამც თუ არ გა-  
ექცნენ ქორსა; მამაცურად წინ მოექცნენ წიწილებს, გა-  
შალეს ფრთები, დაიგძელეს კისერ-ნისკარტები და მოემ-  
ზადნენ თავ-განწირულის ომისათვის.

ჭორმა დაუქროლა კრუხებსა და გაჩნდა ბრძოლა  
ღონიერისა უღონოებთან, იარაღიანისა უიარაღოებთან,  
მარჯვესი უხერხულებთან. ჭორი სცემდა კრუხებს თავისს  
ჰწვეტიანს და ღონიერს ნისკარტსა, აგლეჯდა ხორცს ტან-  
ზედ თავისი ბასრი ბრქვალეებით, თავისი ღონიერი ფრთე-  
ბის ცემით არეტიანებდა. ურც ერთი ეს ვნება კრუხებს  
არ შეეძლოთ მიეყენებინათ მტრისათვის და არც სცდი-  
ლობდნენ ამასა. სამაგიეროდ, საოცარი შეუცდომლობით  
მიხვდნენ სუსტს მხარეს ქორისასა და სწორედ ეს მხარე  
ამოიღეს მიზანში. ძრუხებმა იგრძნეს, რომ ერთად ერთი  
ასო ქორისა, რომლის ვნებაც მათ შეუძლიანთ თავისი  
სუსტი იარაღით, არის თვალეები და თავისს ნისკარტს  
მხოლოდ ამ თვალეებში უმიზნებდნენ,—უმიზნებდნენ ისე-  
თი სიმარჯვით და დაჟინებით, რომ კაცს გააოცებდა.

ჭორმა დაგლიჯა ერთი კრუხი და სიკვდილამდინ მი-  
იყვანა; მაგრამ დაგლეჯილმა სწორედ უკანასკნელი წუ-  
თის წინად მოასწრო, ჩაჰკრა თავისი ნისკარტი ქორს შიგ  
თვალში, ამოჩიქნა და შემდეგ უსულოდ დაეცა მიწაზე.  
ცალთვალა ქორი ახლა მივარდა მეორე კრუხსა, რომელ-  
მაც თავ-განწირული ქომავლობით გაუადვილა თავისს ამხა-  
ნაგს თვალი ამოეჩიქნა მტრისათვის. ამასაც წყეულმა  
მტაცებელმა ტანი რამდენსამე ადგილას დაავლიჯა და

დაუსისხლიანა. ბოლოს თავისი ბასრი ნისკარტი დაუმიზნა შიგ თავში და, თუ ჩაეკრა, უთუოდ დაარეტიანებდა და მოჰკლავდა. მაგრამ სწორედ ამ დროს იხერხა კრუხმა და თავისი ნისკარტი ჩასცხო ქორს მცორე, საღ თვალში, ამოუჩიჩქნა, სრულიად უსინათლო გახადა, და ბოლო მოეღო ბრძოლასა.

საზარელს სანახავს წარმოადგენდა ბრძოლის ველი. მრთი კრუხი მოკლული ეგდო და მეორე სისხლისაგან იცლებოდა. არა ნაკლებ უბედურს მდგომარეობაში იყო ორივე თვალით დაბრმავებული ქორი, რომელიც საცოდავად ფარფატობდა და ხან აქ გადაივლიდა ყირამალა, ხან იქა.

მშვიდობით გადარჩენილი წიწილები ერთად მოგროვილიყვნენ, საცოდავი ხმით გასწიოდნენ და გლოვობდნენ თავიანთ თავ-დადებულს დედებსა, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს მათ და ამითი დაუტოვეს ანდერძი, რომ მათაც თავისი ჩამომავლობა ჰყვარებოდათ თავ-დავიწყებული სიყვარულითა.

## ჯანო და ჩიტე.



ანოს ძლიერ მოსწონდა ბელურა ჩიტები. მათი მარდი მოძრაობა, მხიარული ხტუნაობა, სიცოცხლით საგსე ჟივ-ჟივი, ხერხიანობა, საოცარი ჭკუა და უშიშრობა კიდევ აკვირვებდნენ მანოსა და კიდევ ასიამოვნებდნენ. მრთხილი ჩიტებიც მაგრე რიგად არ ერიდებოდნენ მანოსა და სხვებზე მეტს ენდობოდნენ.

რათა? იმიტომ რომ უხვი ხელი ჰქონდა და ხშირად უყრიდა საკენკსა.

უფრო მეტად შეიყვარა მანომ ერთი ბედურა ჩიტი, სხვებზე უფრო ცქვიტი, მარდი, ქოჩორა და ლამაზი. შოველთვის სცდილობდა, რომ საკენკი ამ ქოჩორასთვის მიემარჯვნა და მეტი საქმელი ერგუნებინა მისთვის.

ასე გავიდა ზაფხული და შემოდგომა. ბოლოს დადგა ზამთარი; მაგრამ როგორი? ისეთი თოვლიანი და ყინვიანი, რომ მდინარეები მთლად გაიყინა. ჩიტებს საშინლად აწუხებდა ყინვაცა და უსაქმლობაცა. მანომ საკენკის ძლევას უმატა; მაგრამ ყინვის წინააღმდეგ კი აბარას გააწყობდა.

მანო გულით სწუხდა, როდესაც ხედავდა თავისს საყვარელ ქოჩორა ჩიტს აბურძღვულსა, გამხდარსა, მობუზულს და დაღონებულსა. ის საბრალოდ გასქციოდა ხრინწიანის ხმით, თითქო სჩივის: ვაიმე, დედავ, გავიყინეო.

— მს წყეული ყინვა ამ ჩემს ქოჩორას უთუოდ ფეხებს ააფშეკინებს, თუ მე მას არა ვუშველერა, სთქვა მანომ და დაფიქრდა მასზე, თუ რა ხერხი მოეგონა. ზადასწყვიტა დაეპირა ქოჩორა, ჩაესვა გალიაში, ზამთარში შინა ჰყოლოდა თბილად და მაძლრად და გაზაფხულზე ისევ გაეშვა გარედ მისს ნებაზე.

ამ განზრახვით მანომ თავისს კარ-მიდამოზე ერთს ალაგას ბლომად დაჰყარა საკენკი, ამ საკენკზე წამოაყირავა ცხრილი, რომელსაც ქვევიდან ჯოხი შეუდგა დასამაგრებლად. ამ ჯოხს ძირში მოაბა ბაწარი, რომლის თავი ხელში დაიჭირა, მოშორდა ცხრილსა და შორი-ახლო ბოდს ამოეფარა.

ლოდინი დიდხანს არ მოუნდა. მარცვლებთან მო-

ფრინდა ყველაზე ადრე ჩვენი ნაცნობი ქოჩორა და ხარბად დაუწყო კენკა. ღამალულმა მანომ იდროვა და უცებ გამოჰკრა ჯოხს ბაწარი. ცხრილი წამოიქცა და ქვეშ მოიტანა ჩიტუნია. მანომ მიირბინა, ფრთხილად შეჰყო ხელი ცხრილ ქვეშა, დაიჭირა ჩიტი და გარედ გამოიყვანა. საჩქაროდ შეიყვანა შინა და ჩასვა დამზადებულს გალიაში, სადაც წყალიც დაუდგა და ფეტვის მარცვალის ბევრი დაუყარა.

მანო დარწმუნებული იყო, რომ ჩიტი, სიცივესა და სიმშობის მოშორებული და დაბინავებული თბილსა და საქმლით სავსე გალიაში, მოკეთდებოდა, მოლონიერდებოდა, მომხიარულდებოდა და ბედნიერად იგრძნობდა თავსა. მაგრამ, დახე მანოს გაოცებასა! ჩიტმა პირიც არ დააკარა არც საქმელსა და არც სასმელსა. საცოდავად მიიყუჟა კუნჭულში, მოიბუზა, საშინლად დაღონდა და მომაკვდავს დაემსგავსა.

— იქნება ჩიტუნიას ეხამა ეს ახალი მდგომარეობა და მერმე შეეჩვიოსო, იფიქრა მანომ და იმედი მოიცა. მაგრამ არც მეორე დღეს გაეხსნა კრიჟა ჩიტსა, და კიდევ უფრო მეტად იტანჯებოდა. ცხადი იყო, რომ ჩიტს გალია თავისს საპყრობილედ მიაჩნდა, თავისი თავი ტყვედ და მანო მტრად, მწვალებლად, რომელმაც თავისუფლება წაართვა და დაატუსაღა. მრთი-ორი დღე რომ კიდევ დასცალდებოდა გალიაში, ქოჩორა უთუოდ ფეხებსა ფშეკავდა.

მანო ამაში სრულიად დარწმუნდა და მესამე დღეს გარედ გამოიტანა გალია, შორი-ახლო დასდგა, კარი გაუღლო და თითონ მოშორდა.

მიმკვდარებული ჩიტი მაშინვე მოცოცხლდა, გარედ

გამოხტა, დაიფთხრიალა და მახლობელ საბძელში ტყვიასავით შევიარდა. აქ მალე მოიბრუნა გული და გაფაციცებით დაუწყო ძებნა პურის მარცვლებს ზეში.

მტყობა ჩიტსაც კი ბევრად ურჩევნიან სიმშლილი და სიცივე თავისუფლებაში სითბოსა და სიმძლრეს მონაობაში, სთქვა გულ-კეთილმა მანომ და მას უკან აღარ დაუტყვევებია არც ერთი ჩიტი.

## მელო და ჯიბლიბო.

### I



ატარა მელოს ხშირად ამოსდის თვალზე ჯიბლიბო და აწუხებს. თვალს უსივებს და უსისხლიანებს, პირისახეს უუშნოებს, ტანში უგემურად ჰხდის, ცოტა სიცხესაც აძლევს და ხელს უცარავს წერაკითხვასა და სხვა საქმეებშიაცა. მრთს თვალზე რომ მოირჩენს ჯიბლიბოსა, ხშირად მაშინვე მეორე თვალზე ამოუსკუბდება ხოლმე და სწორედ ილაჯს უწყვეტს პატარა გოგონასა.

„ახ, ნეტავი კი მასწავლიდეს ვინმე ჯიბლიბოს წამალსა და ჩემი მადლით სწორედ ცხონდებაო“, ხშირად ნატრობს მელო. მაგრამ აქამდინ ეს ნატვრა ვერავინ აუსრულა. ზოგნი მელოს კიდევ დასცინიან: უბრალო ჯიბლიბომ აგრე როგორ შეგაწუხა, რომ მისი წამალი ნატვრის თვალად გადაგექცაო.

ტყუილად დასცინიან მელოსა. დასაცინი და სამახარაო აქ არაფერია. ჯიბლიბო აწვალებს მელოსა და

წვალების თავიდან მოშორება კი სანატრელია ყველასათვის, დიდისათვისაც და პატარასათვისაც.

მე მწადიან ავუსრულო მელოს ნატვრა და ვასწავლო ჯიბლიბოს წამალი. ღა ისიც როგორი? იმისთანა უებარი, რომ მას ეს წყეული მუწუკი არას დროს აღარ დაუუშნოებს ლამაზ თვალებსა; იმისთანა უბრალო, რომ არც ექიმის რეცეპტი დასჭირდება, არც აფთიაქში გაგზავნა და არც ფულის დახარჯვა. მს უებარი წამალი შინა აქვს მელოსა, ყოველ დილით უჭირავს ხელში; მაგრამ, ვაი უცოდინარობასა! აზრდაც არ მოსდის არც მელოსა და არც სხვებსა, რომ ეს უბრალო შინაური-ნივთიერება უებარი წამალია ჯიბლიბოსი და აქრობს მის სახსენებელსაც კი.

მციცი, რომ მელოს ეს ჩემი სიტყვები დაუბადებენ მოუთმენელს სურვილს, რომ მე ახლავე, ამ წუთში, დავუსახელო წამალი და დავამშვიდო; მაგრამ ცოტა მოთმინება უნდა იქონიოს, რადგანაც მე მწადიან არა მარტო წამალი ვასწავლო, არამედ ამასთან, გზა-და-გზა, ცოტაოდენი ცოდნაც შევიძინო.

## II

რისაგანა ჩნდება ჯიბლიბო? რა მიზეზი ჩასახამს ხოლმე მას და ზრდის? რად ამოდის იგი თვალებზე და არა ყურებზე, ცხვირზე, ლოყებზე, ტუჩებზე და პირისახის სხვა ასოებზე?

ჯერ გავიხსენოთ, რომ ჯიბლიბო ამოდის იმ თვალის ნაწილზე, რომელსაც ქუთუთოები ჰქვიათ. ჩავუკვირდეთ ქუთუთოების კანსა. მს კანი არ არის სწორე, გაქიმული, როგორც ლოყებისა და ცხვირის კანი, არამედ



ძლიერ დანაოკებულია. ნაოკები მისდევს სიგანეზე სამოთხ კეცად. ამ ნაოკების სიღრმე მატულობს, როცა თვალს ვახელთ, და კლებულობს, როცა თვალსა ვხუჭავთ. მაგრამ გასწორებით კი არასოდეს არა სწორდება და ქუთუთოები მეტ-ნაკლებობით დანაოკებული რჩება ყოველთვის. ეს კარგად უნდა დავიხსოვოთ, რათა ამის მომდევნო აზრები შევიგნოთ.

ჩვენ ვიცით, რომ დედამიწიდან ბევრი მტვერი ადის ჰაერში, მეტადრე მაშინ, როცა ქარი ჰქრის. ეს მტვერი ზოგი ისევ მიწაზე სცვივა, ზოგი მაღლა რჩება, რის გამოც ჰაერში ყოველთვის ურევია მტვერი, ხან მეტი, ხან ნაკლები. მტვეროს ჰაერი მხოლოდ ზღვაზე მოიპოვება, რადგანაც ზღვას მტვერი ვერ აუვა; მას მხოლოდ ორთქლი ასდის. მტვერი ტრიალებს არა მარტო გარედ ჰაერში, არამედ შინაურშიაც. შინაურს ჰაერში მით უფრო მეტი მტვერი ურევია, რაც უფრო უსუფთაოდ ინახავენ ოთახებსა.

ზარეული და შინაური მტვერი დასდის ადამიანსა და ზედა ჯდება. რადგანაც ტანი შემოსილი გვაქვს ტანისამოსით, ამის გამო ჩვენს სხეულს მტვერი ვერ ეკარება და რჩება ზედა ტანისამოსზე. პირისაზე კი ტიტველა გვაქვს კაცსა და ქალსა და ამიტომ მისს კანზე დაუბრკოლებლივ ჯდება მტვერი და ზედ რჩება.

პირის კანი სწორეა, როგორც უკვე ვიცით, და ამასთან სქელი. მტვერი მასზე ან ვერა რჩება დიდხანსა და, თუ რჩება, შიგნით ვერ ატანს, ზევიდან ფქვილივით აყრია. საკმარისია პირზე წყალი გადაივლოთ, ან ცხვირსახოციით კარგად მოიწმინდოთ, რომ მტვერი სრულიად ჩამოირეცხოთ, ან ჩამოიწმინდოთ.

მაგრამ ქუთუთოებს კი ამ ღონის-ძიებით ვერ უშველით. მათს დანაოქებულს კანში ისე ღრმად ჩააკვდება ხოლმე მტვერი, რომ წყლით ვერ ამოირეცხავთ; მით უმეტეს ვერას გააწყობთ ცხვირსახოცით. ამის გამო წყლით პირის დაბანის შემდეგ მთელი პირის კანი ჩამოწმენდილი და ჩამოსუფთავებული გვაქვს; მაგრამ ქუთუთოების ძირში კი მტვერი ისევ რჩება და თანდათან ღრმად მიდის ქვევით. წყალი და ოფლი ამ ღრმად ჩასულს მტვერს ასველებს, ქუქყად აქცევს და ეს ქუქყი ატანს კანში და ჩადის სისხლში. ამ სისხლაქდინ ჩასვლას ისიც უადვილებს ქუქყსა, რომ ქუთუთოების კანი ბევრად უფრო თხელი და სიფრიფანაა, ვიდრე პირისახისა.

ჩავიდა ძარღვში მტვერი, ქუქყად ქცეული. რა ხდება ახლა? მუქყი გზას უკრავს სისხლსა, რომელიც ძარღვებში სდის, აღარ უშვებს წინა, აგუბებს ერთს ადგილას, სისხლი აწევება ამ ნაგუბარს, ჰსკიკნავს, ჰბერავს ძარღვსა და იძულებულია შესწყვიტოს თავისი მოძრაობა. შეჩერებული და ქუქყით ამღვრეული სისხლი ფუქდება, ჩირქდება და ამობურცდება ხოლმე კანს ზეით მუწუკად, და მაშინ ვამბობთ: ჯიბლიბო ამოგვივიდაო.

მაშასადამე, თუ მელოს უნდა (ჰაი, ჰაი, რომ უნდა!), რომ ჯიბლიბო არას ღროს არ ამოუვიდეს თვალზე, მტვერი არ უნდა დაიყენოს ქუთუთოებზე და არ უნდა ჩაუშვას კანსა და ძარღვში. მაგრამ საქმე ის არის, რა გზით და როგორ მოახერხოს ესა?

### III

როგორც უკვე ვთქვით, აქ ცხვირსახოციც უძლურია და წყალიც. თუნდა დღეში ორჯელ-სამჯერ დაიბა-

ნოს პირი, ქუჩყი მაინც ჩარჩება ქუთუთოებში და გააჩენს ჯიბლიბოსა. მაშ სად უნდა ეძიოს მელომ ხსნა?

პრის ნივთიერება, რომელიც ყველა სახლში მოიპოვება, რომელსაც ყველა კარგად იცნობს და რომელსაც ვერ გაუმაგრდება ვერაგვარი ქუჩყი, რაც უნდა ღრმად იყოს იგი ჩამკვდარი ადამიანის კანში. ამ ნივთიერებას ჰქვია... აბა გამოიცანით?.. საპონი.

ღიახ, საპონი არის შეუღარებელი მტერი მტერისა, ქუჩყისა. საპნის წყალი უფრო ღრმად მიდის კანში, ვიდრე მტერი და ქუჩყი, მაგრა უჭერს მათ თავისს მუხრუქსა და ძირიან-ფესვიანად ამოაქვს ზევით, რეცხავს ადამიანის ტანსა და ანიჭებს მას სრულს სისუფთავესა.

ბქედან ცხადია, თუ რა ღონის-ძიებას უნდა მიმართოს მელომ, რათა თავიდან მოიშოროს ჯიბლიბო ერთხელ და სამუდამოდ. მან უნდა ყოველ დღე იბანოს პირისაზე კვერცხის ყვითელი საპნით, ან სხვა კარგი საპნით. მეტადრე კარგად უნდა ამოიბანოს ხოლმე საპნის წყლით თვალის ფოსოები და ქუთუთოები. მაშინ მტერი ველარ ჩაკვდება ქუთუთოების კანსა და ჯიბლიბოც თავისს დღეში აღარ ამოუვა მელოს. საპნის ხმარება სხვა სიკეთესაც შესძღვნის: სუფთა პირისაზეზე ძალიან იშვიათად გაუჩნდება მელოს უბრალო ბუსუსიც კი.

მაგრამ განა მარტო მელო უნდა მოიქცეს ასე? პრა, ყველანი: საბედოც, ძეკეც, ფეფოც, თამროც, სანდროც, მასოც, მიხაც, ნიკოც, შაქროც, ერთი სიტყვით ყველა ქალი და ვაჟი. მაშინ ჯიბლიბოს ხსენებაც კი სრულიად გაწყდება როგორც ქართველ ყმაწვილთა შორის, ისე დიდებუიაც.

მეცი, რომ პირში მახლიან ჩემი პატარა მკითხვე-

ლები ამ პასუხსა: თუ აგრეა, მაშ როგორა ხდება, რომ გლეხები სრულიად არ იბანენ პირისახეს საპნითა, მაგრამ ჯიბლიბო კი ძალიან იშვიათად ამოსდით მათ თვალებზეო?

მე მართალია, მაგრამ აქ სხვა მიზეზი მოქმედებს. გლეხები თავისს სიციცხლეს სულ გარედ ატარებენ, დილით-საღამომდინ მუშაობაში არიან გაბმულნი, მათი სხეული ლორივით არის გამოსული, მათი კანი მზისა და ქარისაგან ერთი სამად და ოთხად გასქელებული და გამაგრებულია. ღა ამისთანა სქელსა და მაგარს კანს ვერას გზით ვერ ჩაატანს შიგნით მტვერი და ქუქყი და ვერ გაუჩენს ჯიბლიბოსა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გლეხებშიაც ბლომად მოიპოვებიან იმისთანანი, რომელთაც თხელი კანი აქვთ ქუთუთოებზე და ამის გამო მათაც ხანდახან ამოსდით ჯიბლიბო.

თქვით განათლებულ ადამიანებშიაც ბევრია იმისთანა, რომელიც საპნით პირს არ იბანს და მაინც ჯიბლიბო არ უჩნდება. ეს იმის გამო, რომ მათ ჩამომავლობით დაპყლიათ სქელი და მაგარი კანი სხეულისა.

საზოგადოდ, ჯიბლიბო უჩნდება მხოლოდ მათ, ვისაც ნაზი და თხელი კანი აქვთ. ღა რადგანაც ბავშვების და ყმაწვილების კანი უფრო ჩვილია, ამიტომ ჯიბლიბოც მათ უფრო ხშირად ამოსდით თვალებზე, ვიდრე დიდებსა.

ჩვენს მელოსაც ჯიბლიბო იმიტომ გადაეკიდა, რომ პირისახის და თვალების კანი მეტად თხელი და ნაზი აქვს და მტვერი ადვილად ატანს მას შიგნით. ამიტომაც არის საჭირო, რომ მელომ არ დაიხაროს და ყოველ დღე ერთგულად იბანოს პირისახე საპნის წყალითა. მაშინ მის

პირისახეს აღარასოდეს არ დააუწნოებს საძაგელი ჯიბ-  
ლიბო.

შეიძლება მელომ და სხვა ჩემმა პატარა მკითხვე-  
ლებმა იფიქრონ: რა საქირთა ყოველ დღე საპნის წყლით  
პირის ბანა? როცა ჯიბლიბო ამოგვივა, მაშინ ვინმართ  
საპონსა და მოვირჩენთო. თუ ასე იფიქრებენ, დიდად  
შესცდებიან. საპნის ხმარება შეუძლებლად ჰხდის ჯიბლი-  
ბოს ამოსვლასა; მაგრამ, თუ დაუდევრობის გამო, ეს მუ-  
წუკი თვალზე ამოუვიდა ადამიანსა, საპონი მის მორჩე-  
ნას ვერ დააჩქარებს. მაშინ მეტი ჯანი არ არის, ადამი-  
ანმა უნდა მოითმინოს, მანამ ჯიბლიბო გამოირწყვებო-  
დეს, ან დაცხრებოდეს, და მას უკან მისი ხელ-მეორედ  
გაჩენა თავიდან აიცილოს პირისახის და თვალების ბანით  
საპნის წყლით ყოველ დღით, ან საღამოთი. დაუდევ-  
რობა აქაც მავნებელია, როგორც ყველა სხვა საქმეში.

## ტოროლას ბარტყების სიუჟარული.

(ბუნების-მეტყველებიდან).



ყო ერთი მსწავლული. მთელს თავის დროს ან-  
დომებდა მცენარეების, ცხოველების და სხვა  
ბუნების საგნების გამოკვლევასა. ამიტომ მას  
ბუნების-მეტყველს ეძახდნენ.

მრთხელ ამ ბუნების-მეტყველს სოფლის მწყემსმა  
მოუყვანა ტოროლას ბარტყი, რომელიც მინდორში და-  
ეკირა ბუდის ახლო. ბარტყი ჯერ ისევ ნორჩი და სუს-  
ტი იყო და საქმლის ქამასაც კი თავისს თავად ვერ ახერ-

ხებდა. ბუნების-მეტყველს მეტი ღონე არა ჰქონდა, დედობა უნდა გაეწია ამ ბარტყისათვის, ასეც მოიქცა. თავისი ხელით აქმევდა, ასმევდა და ეალერსებოდა. ბარტყიც მალე შეეჩვია თავისს გამზრდელსა და სრული ნდობით ექცეოდა. ამასობაში პატარა ტოროლა მოიზარდა და მოღონიერდა.

სწორედ ამ დროს ჩვენს ბუნების-მეტყველს იმავე მწყემსმა მოუყვანა ტოროლას ოთხი სხვა ბარტყი, რომელიც სხვა ბუდიდან ამოესხა. ეს ბარტყები ბევრად უმცროსნი იყვნენ გაჩვეულს ტოროლაზე და არაფრით არ ჰგავდნენ მას, რადგანაც სხვა დედ-მამას მიენიჭებინა მათთვის სიცოცხლე.

ბაშინაურებულმა ტოროლამ არ დახედა მას, რომ ეს ახლად მოყვანილი ბარტყები არ იყვნენ მისნი ნათესავნი და დიდი სიხარულით მიეგება მათ. ბუნების-მეტყველს ამ ბარტყების მოყვანა ერთ-მხრივ იამა; მაგრამ მეორე მხრივ კი დააფიქრა. დააფიქრა იმიტომ, რომ მათი გამოზრდა მოითხოვდა მისგან ბევრს დროსა და ყურადღებასა და ხელს შეუშლიდა მეცნიერულს შრომაში. მაგრამ ეს შიში სრულიად გაუფანტა მისმა გამოზრდილმა ტოროლამა. ამან სრული სიამოვნებით იკისრა დედობილობა პატარა ბარტყებისა. თუმცა თვითონაც ჯერ ისევ ბარტყი იყო, მაგრამ საოცარი დედობილობა გამოიჩინა. შვილობილებზე ზრუნავდა დღე და ღამ, თავისს ფრთებს ქვეშ ამოისხამდა, ათბობდა და თავისი ნისკარტით აქმევდა საკმელსა. მცირე ხანსაც კი მოსვენებას არ აძლევდა თავისს თავსა. ბუნების-მეტყველი ხან მოაშორებდა და დაუმაღავდა ხოლმე ბარტყებსა, რომ მათ მოქანცულს დედობილს დაესვენა და ღონეზე მოსულიყო. მაგრამ სა-

შინელს მოუსვენრობაში ჩავარდებოდა ხოლმე ტოროლა: გაფაციცებით დაეძებდა შვილობილებს, ტოროლურად უძახდა და ძლიერ სწუხდა, თუ მალე ვერ იპოვნოდა. როცა მიაგნებდა, ერთს სიხარულს მიეცემოდა, მოუკურკურებდა, ვალერსებოდა.

ამასობაში იმდენად წამოიზარდა დედობილი ტოროლა, რომ ადვილად შეეძლო გაფრენილიყო, დაენებებინა თავი ბარტყებისათვის და მინდორ-ველზე ეცხოვრა თავისუფლად. მაგრამ ეს აზრადაც არ მოსდიოდა. ბარტყების სიყვარული მას სულ უძლიერდებოდა და უძლიერდებოდა. მხოლოდ მათზე ფიქრობდა, მათზე ზრუნავდა, მთელს თავისს დროს სულ მათ ახმარებდა. თავისი თავი სრულიად და სავსებით დავიწყებული ჰქონდა. საჭმელს ცალკე არას დროს არა სჭამდა. როცა საკენკს დაუყრიდნენ, ჯერ ბარტყებს აქმევდა, დააძლობდა და რაც მორჩებოდათ, იმასა სჭამდა სულ ბოლოს. სასმელზედაც ასე იქცეოდა.

ასეთმა განუწყვეტელმა ჯათამ, ასეთმა საოცარმა თავ-დავიწყებამ ახალგაზრდა ტოროლა დაამქლევა და მიასუსტა. მიასუსტა მით უმეტეს, რომ ჯერ ის დასრულებული არ იყო, გაზრდა კიდევ აკლდა. ბუნების-მეტყველი სცდილობდა, რომ ჯათა შეემცირებინა ტოროლასათვის და ხიფათს გადაერჩინა; მაგრამ ვერა გააწყობა. სიყვარულით გატაცებული ტოროლა ზედ ეგებოდა ყოველ ჟამს თავისს შვილობილებს ისეთი თავ-დავიწყებით, რომ ბოლოს მთლად ჩამოხმა, ჩონჩხად იქცა, მისუსტდა, მოიქანცა და ერთს ღამეს თავისს შვილობილებთან ჩახუტულმა სული დალია.

ბუნების-მეტყველს დაენანა გადასაგდებად ამისთანა

მოსიყვარულე ფრინველის გვამი და დამარხა თავისს ბაღაში.

მაგრამ უბედურება ამითი არ გათავდა.

აღმოჩნდა, რომ თავ-დავიწყებულ სიყვარულს ტოროლასას აენტო ძლიერი სიყვარული ბარტყებშიაც და ესენი დიდს ნაღველს მიეცნენ თავისი დედობილის სიკვდილის შემდეგ. ბუნების-მეტყველი მათ არ აკლებდა არც საქმელს, არც სასმელს და არც აღერსს; მაგრამ ჯავრმა ისინი მალე გადაიტანა თან და ოთხივენი ერთს ღამეს დაიხოცნენ. ამათი გადაყრაც დაენანა ბუნების-მეტყველს და ისინიც დამარხა მათს დედობილთანა.

ბუნების-მეტყველს, რასაკვირველია, ძლიერ ენანებოდა უდროოდ დახოცილი ტოროლები; მაგრამ ამასთან დიდს სიხარულსაც გრძნობდა, რადგანაც თავისი თვალთ ნახა და დარწმუნდა, რომ ფრინველებშიაც კი ყოფილა თავ-დავიწყებული ერთმანეთის სიყვარული.

## ბულბული და კუკული.



ირს ჯავრი სჭირდა ბულბულისა და შურის ძიებას შეუდგა. მივიდა გუგულთანა და უთხრა: შენ გალობაში გამოითხოვე ბულბული, მსაჯულად მე ამომიჩიე და პირველ მგალობლად შენ გალიარებო.

ბუგულმა უპასუხა: როგორ გამოგითხოვო ბულბული გალობაში, როდესაც ერთი „უფალო შეგვიწყალეს“ მეტი არა ვიცირაო.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე დამიჯერე და საქმე ჩინებულად გათავდებო, უთხრა ვირმა.



ზაბრიყვდა გუგული და გამოითხოვა ბულბული გალობაში.

ბულბული თავდაბალი ფრინველია, თავაზიანი, ხშირი გალობა ძლიერ უყვარს და დასთანხმდა. დასთანხმდა იმასაც, რომ გასჯიბრებოდა გუგულს გალობაში და იმასაც, რომ მსაჯულად, გალობის დამფასებლად ყოფილიყო მარტო დიდყურა ბრძენი.

შეიკრიბნენ დანიშნულს ადგილას მოჯიბრენი და კარგა ხანი უცადეს ვირს. ბოლოს ესეც დიდკაცურად მობრძანდა და ანიშნა, დაიწყეთო.

ბულბულმა მორთო თავისი გალობა, ათასნაირი ხმა ჩაარაკრაკა და ყველა იქ მყოფს სულდგმულს სამოთხის ნეტარება აგრძნობინა.

შემდეგ გუგულმა გააბა თავისი „უფალო შეგვიწყალე“, ოცჯერ ზედი-ზედ მიაყარა და ისე უხეიროდ სთქვა, რომ არც ერთს ხრინწიანს შედავითნეს არ უგალობნია ასე უშნოდ.

შირმა ბრძნულად ჩაქინდრა თავი და პტყელ-პტყელად წარმოსთქვა: ბულბულმა „უფალო შეგვიწყალე“ არც ერთხელ არა სთქვა, გუგულმა კი საუცხოვოდ იგალობა ოცჯერ. აღმიარებია და გამომიცხადებია პირველ მგალობლად გუგულიო, და თან „ურა“ ისეთის მაღალის ხმით დაიყოყინა, რომ ყველა მსმენელს ყურები დააცობინა.

„ზაუმარჯოს ვირის მოწონებულსა“, დასძახეს აქეთ-იქიდგან ხარხარით ყველა იქ დამსწრეთა და ამ დღიდგან გუგულს დაერქვა „ვირის მოწონებული“.

## თ ე ვ ზ ა ო ბ ა.

(ბავშობის დროის მოგონება)



ატარაობისას თევზაობა ძლიერ მიყვარდა. ჩვენის სოფლის არე-მარეც ხელს მიწყობდა. მკითხველთან შუაგულს სოფელში რამდენიმე ვეგებერთელა წყარო ამოჩუხჩუხებდა მიწიდან. სოფლის გარშემო ადგილები ხომ სულ სავსე იყო ცივ-ცივი წყაროებითა. წყაროების თავი დაჩრდილოელი იყო ირგვლივ ჩარგული ნერგებითა და ზაფხულში აქ საამური სიგრილე ტრიალებდა. ამ ჩრდილებში დასვენება, ყინულივით ცივი წყლით წყურვილის მოკვლა ზაფხულის პაპანაქებაში სწორედ ნეტარება იყო.

მს მრავალი წყაროები სულ სამხრეთისაკენ მიდიოდნენ, გზაზედ ერთმანეთში ერეოდნენ და აჩენდნენ მოზრდილს ფშნებსა, რომელთა ნაპირებს ბურვიდა ხშირი თხილის ბუჩქები. ამ ფშნების წმინდა წყალში ჩნდებოდნენ და მრავლდებოდნენ სხვა-და-სხვა თევზები და მათ შორის კალმახიცა, უგემრიელესი თევზთა შორის.

სათევზაოდ ჩემს უფროს ძმას დავაწვნივინე ლერწმის პატარა კალათი, წოწლოკინა, პტყელი და ისეთი მსუბუქი, რომ ნიავიც კი წაიღებდა. წამოვიდებდი მარჯვენა მხარზედ ამ კალათასა, გავსწევდი ქვემოდ და ჩავიდოდი ფშნების პირსა. ბავიხდიდი ჩუსტებსა და წინდებსა, გამოვიხვევდი ჩოხის კალთაში, ჩავსტებოდი ფშნის ბოლოში და შევყვებოდი ზევით-ზევით თევზაობითა. მივაგნებდი დარწებს (ჯილს), ერთი ხელით კალათს მივეუ-მარჯვებდი, მეორე ხელით ჯოხს შევუჩიჩხინებდი დარ-

ნებში და დავუქშევდი თევზებსა. დაფეთებული თევზები გარედ გამოიბოდნენ და სცივდებოდნენ კალათაში, რომელსაც მე სწრაფად ავაცილებდი ხოლმე ზეთ წყალსა. რასაკვირველია, ბევრი თევზი აიციდენდა ხოლმე კალათსა და თავს უშველიდა; მაგრამ ზოგი კალათაში მოჰყვებოდა ხოლმე და სამუდამოდ გამოეხალმებოდა თავისს საყვარელ დარნებსა.

მე ძლიერ მომწონდა ცოცხალი თევზების მოყვანა შინა. ამიტომ თან დამქონდა პატარა სპილენძის თუნგი, შუა წელამდინ წყლით სავსე და მასში ვყრიდი დაქერილს თევზებსა.

თევზის ქერას ისე გატაცებით მივსდევდი, რომ ხშირად მთელს დღეს ფშნებში ვალამებდი და მარტო ხმელის პურის ამარა ვრჩებოდი. იქნება გეგონოთ, თევზის ქამისთვის სული მიმდიოდა და იმიტომ ვიყავი ასე გატაცებული? სრულიადაც არა. თევზს საქმელად ძალიან ნაკლებად ვეწყობოდი და ხიზილალა ხომ თვალის დასანახავად მეჯავრებოდა. მაშ რად მეხალისებოდა ასე ძლიერ თევზის ქერა? ჯერ იმიტომ, რომ სასიქადულო საქმედ მიმაჩნდა, ყოჩაღობად ვსთვლიდი, და მერე იმიტომ, რომ მშობლებისათვის თევზი სანატრელი საქმელი იყო; ხოლო მე მათს სიამოვნებას და ქებას ძვირად ვაფასებდი. მე მაშინ ჯერედ პატარა ვიყავი და თევზის სიბრალოელი იოტის ოდენადაც არა მქონდა. მე არ დავიდევდი მას, რომ თევზიც ქვეყანაზედ ღმერთს გაეჩინა მისი სიამისა და ბედნიერებისათვის და არა ჩვენ საწვალეზლად და საქმელად; ამიტომაც შეუბრალებლად ვასალმებდი წუთისოდ ფელს ახლად გაჩენილ თევზებს, კიკუყინებსა, რომელთაც ჯერედ სიცოცხლით არ გაეხარნათ.

როცა იღბლიანი დღე დამიდგებოდა და თუნგს ცოცხალი თევზით ავავსებდი, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მე ამ დროს ჩემი თავი აღექვსანდრე მაკედონელი მეგონა და სოფელში ისე წელ გაშლილი და თამამი გამოვივლიდი ხოლმე, თითქო დიდს ომში გაუმარჯვებიაო. მაგრამ თუ ნავსიანი დღე დამილამდებოდა და თუნგი ცარიელი მომქონდა, მგლოვიარესავით დაღონებული მოვდიოდი.

ნაფოტა თევზი, ფიჩხული, მურწა, შავი თევზი და სხვა წვრილმანი თევზები ხშირად ჩადიოდნენ ჩემს კალათაში და კალათიდგან ჩემს თუნგში მოექცეოდნენ ხოლმე; მაგრამ მე მაინც გულნაკლულად ვიყავი და ჩემს თავს ნამდვილს მეთევზედ არა ვთვლიდი. რადა? იმიტომ რომ ვერ ველირსე და ვერა კალმახის დაქერასა. ბევრჯელ მოვასწარ კალმახს დარანში, რამდენჯერმე კიდევ ჩავადდე კალათში, მაგრამ, მინამ მე კალათას ზვით ავაცილებდი წყალსა, სწრაფი კალმახი ელვასავით ავარდებოდა კალათიდგანა და გაქრებოდა. რამდენადაც ძნელი გამოდგა კალმახის დაქერა, იმდენად უფრო მიძლიერდებოდა სურვილი მის დაქერისა. ზატხულის პაპანაქებაში უდაბნოში მყოფს ირემს ისე არ ენატრება დაწაფება ცივის წყლისა, მშიერს კატას ისე ძლიერ არ მისდის სული თევზის შესუსვნისათვის, დამშეული კაქკაქი ისე არ ეტანება წიწილის ჩავდებას თავისს კლანჭებში, როგორც მე მინდოდა კალმახის დაქერა; მაგრამ ვერ იქმნა და ვერა.

— ზაქრო, ერთი კალმახის დაქერა მასწავლე და რასაცა მთხოვ, მომცემი ვარ, შევეხვეწე შე ჩვენს მეზობელს გლეხს ძოკაურს, რომელიც კალმახის მარჯვე ქერაში განთქმული იყო არამც თუ ჩვენს სოფელში, არა-

მედ გარეშემო სოფლებშიაცა; იგი ყოველთვის კალმახით გაუმასპინძლდებოდა ხოლმე თავისს მებატონეებს და სხვა მსხვილ სტუმრებს სოფლისასა.

— ხა! ხა! ხა! ხა! ჩიხარხარა ძოკაურბა: მაგ კალანჩხათი უნდა კალმახი დაიჭირო?! იმ უგემრიელესის თევზის დაჭერა რომ მაგრე ადვილი იყოს, მისი სახსენებელიც კი აქამდინ ათასჯერ გაწყდებოდა დედამიწის ზურგზედ. მე თევზაობაში დავებრდი, ხოლიხის ხმარებაში, — კვებნით არ ვიტყვი, — ტოლი არა მყავს, და მეც კი საქმეს საშინლად მიჭირებს ხოლმე. ჯერ მისი ჩაგდება ხოლიხში ძნელი და მერე აღარ ამოშვება. თუ ნახევარ წუთით ხოლიხის ზემოდ ამოკვრა დავაგვიანე, კალმახი ეღვასავით ამოვარდება და თავს უშველის. სამს კალმახში, ხოლიხში მოქცეული, ორი მაინც და მაინც ისევ წამივა ხოლმე, და შენ შეიღის წლის ბალანამ და მაგ სამასხარაო კალანჩხათი როგორ უნდა დაიჭირო ასეთი სწრაფი და მარდი თევზი? ძრა, ძაკო, კალმახს თავი დაანებე, შენი საკბილო არ არის, იჭირე პატარა ზანტი ქიქყინები, მეტი შენ ჯერ არა მოგეთხოვება-რა.

ძოკაურის სიტყვებმა არამც თუ ხელი არ ამაღებინეს ჩემს წადილზედ, კიდევ უფრო გამიცხოველეს სურვილი კალმახის დაჭერისა. „ან მოგკედები და ან კალმახს დავიჭერ ამ კალანჩხით და დავუმტკიცებ ძოკაურს, რომ მარტო მას არ შეუძლიან კალმახის დაჭერა“, — გადაწყვიტე მე ჩემს გულში და უფრო ბეჯითად შევუდექი თევზის ჭერასა. მალე გავაორკეცე ჩემი ხერხი, ჩემი სიმარჯვე. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ერთმა შემთხვევამ ისეთი თავზარი დამცა, რომ არამც თუ კალმახის დაჭერაზედ, თვით თევზაობაზედაც სრულიად ხელი ამაღებინა.

მრთხელ იმდენი თევზი დავიჭირე, რომ თუნგი ყელამდინ მოიყარა, შინ მოვდიოდი და სოფელს რომ მოვახლოვდი, ფეხში დიდი ეკალი შემყრქო და ძლიერ ღრმად წავიდა. მკალმა შემაწუხა და ფეტვის მკადივით დამღრიჯა. როცა ამ სახით ჩვენის მეზობლის ეზოს დავუპირდაპირდი, ბებერმა მელანიამ ბაკის ღობიდგან დაშინახა დაღრეჯილი სახით და მიკიჟინა:

— ტარიელი მოდიხარ, განა?

მე შევეუხვიე მის ეზოში და თავმოწონებით დავუღვი წინ თევზით სავსე თუნგი.

მელანია შურიანი ადამიანი იყო, არაფრად ეპიტნავა ამდენი თევზის დაქერა და, რომ გული წახედინა ჩემთვის, მითხრა:

— მაგ თევზაობას თავი დაანებე, თორემ ფშნებში გველი იცის, გიკბენს როდისმე, დაგწხამავს და ისე სწრაფად გაგუდავს, რომ ზიარებასაც ვეღარ მოგასწრებენ.

თუმცა მელანიას შურიანობა კარგად ვიცოდი, მაგრამ მისი სიტყვები მაინც ტყვიასავით მომხვდა გულში და ძლიერ შემაშინა. მთელი ორის კვირის განმავლობაში სათევზაოდ აღარ გამივლია. მოკლებული ჩემს უპირველესს სიამოვნებას, მე დიდს მოწყენილობას ვგრძნობდი. ბოლოს ვიფიქრე: ეს პოკაურიანთ ზაქარა ამდენი ხანია ხშირად დაიარება სათევზაოდ და, თუ შხამიანი გველი იცის ფშნებში, რატომ ერთხელ მაინც არ უკბენია მისთვის? და განვაახლე თევზაობა, თუმცა გულში შიში ისევ მიტრიალებდა.

მრთხელ ძლიერ ნავსიანი დღე დამიდგა. მთელი დღე ვითევზავე, მაგრამ ოციოდე პაწია ჭიკყინის მეტი ვერა ვიგდერა ხელში: გულზედ მოვედი, გავბრაზდი და

ცხარედ დავიწყე ტაკება ჯოხისა დარნებში და ფშნის ნაპირებში. უცებ მარჯვენა ფეხზედ რაღაც მეჩოთირა, რაღაც ლიპი და ცივის რისამე შეხება ვიგრძენი. მე მეგონა თევზია-მეთქი და კალათი მოვიმარჯვე; დავიხედე და თქვენს მტერს ნუ დაანახვა ის, რაც მე დავინახე. მკლავის სისხო წითელი გველი მებეგოდა მარჯვენა კანკზედ. მრთი საშინელი დავიკვივლე, კალათი ხელიდგან გავაგდე, მარჯვენა ფეხი გავიქნიე, რაც ძალი და ღონე მქონდა, და ასეთს მალალს ნაპირზედ ამოვხტი, რომ მშვიდობიანს მდგომარეობაში ეს ჩემთვის ყოველად შეუძლებელი იყო. ჩუსტები და თუნგი ვილას მოაგონდებოდა, ფეხშიშველი გავეშვი მინდორზედ და გავბოდი შინ, რაც კი შემიძლო. შიში მუხლს მოჰკვეთავს ხოლმეო, ამბობენ. მე კი შიშმა ფრთები შემასხა და ისე სწრაფად ჩემს სიცოცხლეში არ მირბენია. სირბილის დროს ბევრი ეკალი მერქობოდა შიშველა ფეხებში; პირიანი ქვებიც მისერავდნენ ფეხებს, მაგრამ ამას მე იოტის ოდენა ყურადღებასაც არ ვაქცევდი. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გველმა დამშხამა და რამდენსამე წამს შემდეგ სრულიად გამოვესალმებოდი წუთი-სოფელსა. ჩემი ნატვრა იყო მხოლოდ—მინდორში არ დამელია სული, მიმეხწია შინა, ვზიარებულვიყავ და დედის კალთაში მომკვდარვიყავ. სწრაფად გადავირბინე ერთი ვერსის სიგრძე მინდორი, გავირბინე სოფელი, მივარდი ჩვენ სახლთან და შევევარდი დარბაზში ისეთი სახით, რომ გადარეული ვეგონებოდი ადამიანსა. შინ დედის მაგივრად მამა დამიხვდა. ბავყქანე, კალთაში ჩაუვარდი და მიკაძახე: ვკვდები, მამილო, ვკვდები!

— რა არის, შვილო, რა დაგმართნია? მკითხა მა-

მამ ისეთი მშვიდობიანი კილოთი, რომ, ცოტა არ იყო, იმედი მომეცა.

— გველმა დამშხამა და ვკვდები.

— სად და როგორ?

მე ვუამბე ლულულულოთ, კანკალით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— ტყუილად შეგშინებია, ჩემო კარგო, სულ ტყუილად. წყლის გველს არც შხამი აქვს და არც კბენა იცის. ჩემს სიცოცხლეში თუნდა ხუთჯერ-ექვსჯერ მომხვევია წყალში გველი ფეხზედ, მაგრამ ფეხი გამიქნევია, მომიშორებია და გათავებულა ამითი საქმე. წყლის გველს კაცის ფეხზედ დახვევა უყვარს საკბენად კი არა, სითბოს გულისათვის. აბა, მარჯვენა ფეხი გაშალე და კარგად გასინჯე, თუ სადმე ნაკბენი ეტყობოდეს.

მე ტახტზედ გაეკივიე ფეხი, დავაკქერდი კარგად მარჯვენა კანქსა, მაგრამ ერთი ბეწო გაფხაქნილი და დასისხლიანებული ვერსად შევამჩნიე. თვალებს მაშინვე არ დავუჯერე, რადგანაც ძლიერ ვიყავი დარწმუნებული, რომ გველმა მიკბინა და დამშხამა. თვალები მოვიფშვინტე, მოვიწმინდე და ხელ-მეორედ გაგშინჯე კანქი. ახლაც იგი სრულიად საღი და უვნებელი გამოდგა. მაშინ კი დავიჯერე, რომ გველის კბენა და დამშხამვა ტყუილად მომძლანდებოდა და სულ უსაბუთოდ დამცემოდა შიშის ზარი.

დავმოშვინდი, მაგრამ ამ საშინელმა შიშმა მაინც თავისი გაიტანა. ჯერ ერთი ესა, რომ ციება დამაწყებინა და მთელი ორი კვირა მაცივა; მეორედ—დამჩემდა შიში გველისა იმდენად, რომ მისი სახელის გაგონებაც კი შემადრწუნებდა ხოლმე; მესამედ—ქირივით შემძულდა



ძოკაურიანთ მელანა, თავი და თავი მიზეზი ამ უსათუძე-  
ლო და საშინელის შიშისა.

ამ დღიდან სრულიად ხელი ავიღე თევზაობაზედ.

თუმცა მე სხვა-და-სხვა მუშაობას მივსდევდი და ჯა-  
ფაში გართული ვიყავი, მაგრამ მაინც მოწყენა აშკარად  
მეტყობოდა, რადგანაც უსაყვარლესს გასართობს მოვა-  
კლდი.

მრთხელ ძერესელიანთ ლექსუამ, რომელიც ჩვენს  
სოფელში პირველი მომწყვრავე იყო, დაღონებული და-  
მინახა და მითხრა:

— ძაკო, რატომ შენს ქეიფზედ აღარა ხარ? იქნე-  
ბა თევზაობა მოგწყინდა? აგრე იცის, კაცს გულს მალე  
აუცრუებს ხოლმე. სრულიად სხვაა მწყერაობა. რამდე-  
ნიც ბევრსა მწყერაობ, იმდენი უფრო გინდა და გინდა.  
მწყერაობა ისეთი-სასიამოვნო რამეა, რომ თევზაობა ნა-  
რცხადაც არ მოვა მასთანა. აბა შეგირდად მომებარე და  
და ისეთი ოსტატური მწყერაობა გასწავლო, რომ შენი  
მოწონებული.

ამის შემდეგ ლექსუა მწყერაობაზედ მარტო აღარა-  
ვის უნახავს რამდენისამე წლის განმავლობაში. მას ყო-  
ველთვის თან დასდევდა ამხანაგი და ეს ამხანაგი ვიყავი მე.  
მაგრამ მწყერაობაზედ საუბარი სხვა დროსთვის გადავლოთ.

### ცოფიანი ძაღლი.



ვიდი წლისა ვიქნებოდი; გაზაფხული იდგა. შე-  
მაღლებულს ჯეჯილებს მწვანედ გაჰქონდათ და-  
ლანი და თავისკენ იზიდავდნენ ადამიანსა. ამ

ჯეჯილებში იცოდა ფამფარა, ერთნაირი რძიანი ბალახი, რომელიც გემრიელი საკმელი იყო ადამიანისათვის. ჩვენი სოფლები, ქალები და ვაჟები, ხშირად დაიარებოდნენ მინდვრად ფამფარას მოსატანად. მრთს კაშკაშა დღეს ჩემი უმცროსი და და ძმა ამიტყდნენ, წაგვიყვანე ფამფარაზედაო. მეც მინდოდა ფამფარა, კარგა ხანი არ მექამა და ამიტომ სიამოვნებით ავუსრულე პატარაებს სურვილი. პვიღეთ პატარა კალანჩხები და გავსწიეთ დასავლეთით ღალანა ჯეჯილებისკენ. მეზობლის ორი პატარა შვილიც თან გამომყვა. უკან გავიღვენეთ ძაღლებიც, რომ ნადირის შიში არა გეჭონოდა.

ზადვიარეთ ერთი დიდი ჯეჯილი, გავცდით მეორე ჯეჯილსაცა და მივედით რუს პირზედ, სადაც უფრო ბევრი და უკეთესი ფამფარა გვეგულებოდა. ჯერ ფამფარას კრეფა არ დაგვეწყო, რომ ძაღლები ფაცხა-ფუცხით შეცვივდნენ რუში და იქითა ნაპირს გავარდნენ. ზავიხედე ქვევით და იქით ნაპირს მოშორებით გავარჩიე ვეებერთელა ძაღლი, რომელსაც დაღრენილი პირიდან ღორბლი გასდიოდა, კუდი ლაჯებსა და მუცელს ქვეშ ჰქონდა ამოძუებული და ბალანი მეტად აბურძგნოდა.

— მაიმე, დედავ, ცოფიანი ძაღლი, შიშით წამოვიდახე ხმა მალლა. მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ წინდაუხედაობა მომიხდა ამ წამოძახებით. ბავშვებმა შიშისაგან ტირილი მორთეს და ფეხი მოეკვეთათ. მათმა ტირილმა შიში მეც უფრო კიდევ გამიძლიერა, მაგრამ თავი შევიმაგრე და ვუთხარი ბავშვებს დასამშვიდებლად: „არა, არა, ტყუილია, ცოფიანი არ არის, ისე ძაღლია, გიხუმრეთ. მაინც კი ახლავე შინ უნდა წავიდეთ, რომ არა გვაენოს-რა; მერმე მოვალთ და ფამფარა სად წაგვივა“. ბავ-

შეგები ისევ მალე დამშვიდდნენ, როგორც მალე აღრი-  
აღდნენ.

ბავშვები წინ გამოვიძლოლე და უკან მოვსდევდი. **მეჩქარებოდით**, რაც კი შეგვეძლო. **მე** დიდი იმედი მქონ-  
და ჩვენი დიდი ძაღლებისა, რომელნიც მგელსაც არ შე-  
უშინდებოდნენ, მაგრამ ეს იმედი გამიცრუვდა. როცა  
უკან მივიხედე, დავინახე, რომ ცოფიან ძაღლს ჩვენის  
ძაღლებისთვის შიშის ზარი დაეცა, წინ გამოერეკა და მო-  
არბენინებდა. ლაფეთებული ძაღლები შლაპა-შლუპით გა-  
მოცვივდნენ რუში. **ბაგვისწრეს** წინა და სოფლისაკენ  
გარბოდნენ. **ვერც** დაყვავებით და **ვერც** გაჯავრებით მე  
ისინი ვერ შევაჩერე. ლავრჩი უშემწეოდ ოთხი პატარა  
ბავშვით ცოფიანის ძაღლის მსხვერპლად. ჩვენი გადარ-  
ჩენა სასწაულით თუ მოხდებოდა.

ძიდევ მივიხედე უკანა, რომ შემეტყო, რას სჩადი-  
ოდა ცოფიანი ძაღლი. ის ჯერ კიდევ რუს იქით ნაპირს  
იყო, ხან ზევით აირბენდა, ხან ქვეით ჩაირბენდა, ხიდს  
ეძებდა გამოსასვლელად; მაგრამ ახლო-მახლო ხიდის ქა-  
ქანებაც არ იყო. **მეტი** ღონე არ იყო, უნდა წყალში  
გამოეტოპნა და დაგვდევნებოდა, მაგრამ წყლისა საშინ-  
ლად ეშინოდა, ვერ შემოებედა რუში და იყო ერთს წვა-  
ლებაში. **ბოლოს**, ერთი საზარლად დაიკმუვლა, შემოვარ-  
და რუში და გამოვარდა აქეთა ნაპირსა.

**ამ** დროს მე ჩემი ბავშვებით გამოცილებული ვიყა-  
ვი იქითა ჯეჯილსა. **ამ** ჯეჯილის აქეთა ნაპირს პატარა  
რუ ჩამოდიოდა. **ამ** რუზედ იდო ნერგის ხიდი, რომელ-  
ზედაც გამოსვლა ძნელი იყო ბავშვებისათვის. **აი**, რო-  
გორც იყო ყველანი გამოვასხი, მეც შევდექი ხიდზედ და  
გამოვდივარ. სწორედ ამ დროს მოვარდა ძაღლი; წყალს

რომ მოახლოვდა, შესდგა; ეტყობოდა, რომ ათრთოლდა, შეშინდა, თვალეზი აუქრელდა, დაეთრები სულ დაკარგა. ბოლოს მაინც გაბედა და ხიდზედ შემოდგა. მე მოვასწარი, ხიდს ხელი ავკარი და წყალს მივეცი. ძალს ორი წინა ფეხი რუში ჩაუვარდა და საშინლად დაიკმუვლა; მერმე დაიხია უკან, აიკრიბა ფეხები, გასწორდა ნაპირზედ და დაუწყო ძებნა რუს ვიწრო ადგილს, გადმოხტომას აპირებდა; მაგრამ ვერ იპოვა მოხერხებული ადგილი და ზევით დაიოთხა. ზემოდ, ორის მიწის საქცევზედ, ბოგირი იღო; ამ რუხედ გამოვიდოდა და მოგვეწვოდა. ამიტომ ვეჩქარებოდით შინისაკენ, რაც კი შეგვეძლო. ზადმოვიარეთ ჯეჯილი, მივახწიეთ ჩვენს კარმიდამოზედა, და თავი გადარჩენილი მეგონა. მაგრამ კინალამ ამ სამშვიდობოში არ გავხდი მსხვერპლი იმ წყეულის ძალისა. სწორედ იმ დროს, როცა სახლში შევდიოდით, ძალლი მოვარდა ჩვენს კარებთანა და კინალამ არ მომწვდა ფეხში; ერთი ფეხით ძლივს შევასწარი ოთახში და ძლივს მოვასწარი კარების მოკეტა.

ჩვენზედ რომ ვერ იყარა თავისი ბრაზი ცოფიანმა ძალმა, დაერია ძაღლებში და არც ერთი დაუგლეჯელი არ გადურჩა. თავისს კბილებს უფრო თავსა და პირში უყრიდა და საზარლად ჰკბენდა. უფრო მეტად დაჰკბინა დიდი და ღონიერი ძაღლები, რომელნიც არ შეუშინდნენ მას, ებრძოდნენ და ჰკბენდნენ, რაც კი შეეძლოთ. ხოლო ცოფიანი ძაღლი თითქოს სულაც არ გრძნობდა ტკივილსა და მოურიდებლივ ჰგლეჯდა თავისს მებრძოლთა. ეს მებრძოლნი შემდეგში ყველანი დაცოფიანდნენ და პატრონებმა თოფებით დახოცეს.

მეზობლები, თავზარ დაცემულნი, სახლებში შევი-

დნენ და იქიდან უცქეროდნენ საშინელს ოინებს ცოფიანის ძაღლისასა. ჩვენც ფანჯრიდამ თვალს ვადევნებდით. უცებ ძაღლმა დაინახა წყაროზედ კოკით მიმავალი თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ბიჭი. ძაღლებს თავი ანება და გაექანა იმისკენ. „პრიკა, ლექსო (ეს სახელი ერქვა ბიქსა), თავს უშველე, ცოფიანია, ცოფიანი“, დავუძახეთ ჩვენცა და მეზობლებმაცა. შაი, დედასა! რა ბიქს გააფუქებს ეგ შეჩვენებული ძაღლი, ისმოდა აქეთ-იქიდან.

მართლაც, ლექსო თავისს ტოლებში პირველი ბიჭი იყო ტანადობით, სიმარჯვით, ღონით, სიტყვა-პასუხით, ზრდილობით და ამასთან საოცარს უშიშრობას იჩენდა ხიფათის დროსა. სხვათა შორის, საცა გველს მოასწრობდა, მოკვდებოდა და ცოცხალს არ გაუშვებდა. გველის სინსილა თითქმის გააწყო ჩვენს სოფელში. შველა ამ ღირსების გამო ლექსო მთელის სოფლის საყვარელი იყო. ძირეც ამიტომ უკვდებოდა გული ყველას, ვინც კი ხედავდა, რა საშინელი ხიფათი დააწყდა თავსა ამ სამაგალითო ბიქსა. როგორ უნდა გადაერჩინა თავი? ჯოხი არსადა ჰქონდა, შენობები შორს იყო, ვერსად შეეფარებოდა. მაგრამ ლექსომ აქაც გამოიჩინა სამაგალითო სიმარჯვე და დაამტკიცა, რომ ის სწორედ ღირსი იყო საყოველთაო სიყვარულისა.

დაინახა თუ არა ცოფიანი ძაღლი მისკენ გაქანებული, ლექსომ საჩქაროდ დადგა კოკა წყაროს თავზედ და მაშინვე დაავლო ხელები ორს მოზრდილს ქვასა. ჩაირბინა წყაროს თავიდან ქვემოდ იქით ნაპირსა და შეჩერდა. წყარო მალლობის ძირში დიდ ნაკადულად გადმოდიოდა და ეს ნაკადული მიდიოდა ორს ამოშენებულს მაღალს ნაპირს შუა. მაღალი ნაპირები შორი-შორს იყო

ერთმანეთზედ და ერთი ნაპირიდან მეორეზედ გადახტომას მოახერხებდა მხოლოდ ძლიერ მარდი ბიჭი. ლექსო იდგა იქითა ნაპირსა. ჩაწამ ძალლი წყაროს თავიდან მისკენ დაეშვა, ლექსომ ისკუბა და აქეთ ნაპირს გადმოხტა. ძალლმაც მოინდომა გადახტომა, თან გადაყოლა, მაგრამ ვერ გაბედა, რადგანაც გადასახტომი განიერი დახედა და თვითონაც გაძლიერებულის ცოფისაგან და ძაღლებთან ბრძოლისაგან მისუსტებული იყო. საჩქაროდ ჰქმნა პირი ზემოდ, ავარდა წყაროს თავზედ და ახლა აქედან მოუარა ლექსოსა. ამან ხელ-ახლად ისკუბა და იქითა ნაპირს მოექცა. ზაბრაზებულმა ძაღლმა თავი ახლაკი ველარ შეიმაგრა და თვითონაც გადაეშვა. მაგრამ, დახე ბედსა, წელი ველარ მიატანა და მხოლოდ წინა ფეხებით უწია იქითა ნაპირსა, უკანა ფეხები კი წყალში ჩაუვარდა. მოისმა ერთი საშინელი ღმუილი. ლექსომ მოასწრო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შიგ შუბლში სთხლიშა ვეებერთელა ქვა; იმ წამსვე ზედ დააყოლა მეორე ქვაცა და ძალლი იმდენად გაბნიდა, რომ წყალში ჩაიოთხა. ღასტაცა ხელები ლექსომ ქვებსა და ძაღლს სულ სეტყვასავით დააყარა. ჩამდენსამე წამს შემდეგ ცოფიანი ძალლი წყალში ეგდო მთლად გაგუდული.

„მოკვდა, მოკვდა, გამოდით, ნუ გეშინიანთ“, მხიარული ხმით დაგვიძახა ყველა მეზობლებს ლექსომ. არამც თუ მახლობელი მეზობლები, მთელი სოფელი მოასკდა წყაროს თავზედ. შველა ლექსოს აქებდა, ყველა მას შეჰხაროდა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, და მართლა ქების ღირსიც იყო. შინ იცის, რამდენი კაცი და ქალი დაეგლიჯა ცოფიანს ძაღლსა და უსაშინელესი

სიკვდილი მიეყენებინა, რომ უშიშარს და მარჯვე ლექსოს არ მოესწრაფებინა მისთვის დღე.

ლექსოს კი უკვირდა ამოდენა თავისი ქება-დიდება და ამბობდა: „რა ვქნა, რა დიდი რამა ვქენი, ცოფით მიმკვდარებული ძალღი მოვკალი, მეტი ხომ არაფერიო“.

## მელა და მისი სახლობა.

(დამატება)



აბურულს ტყეში დიდი მუხა იდგა. სქელს ფესვებს შუა ამოდრუტული იყო მიწაში ღრმა სორო. ამ სოროდან ქვეშ მისდევდა სასვლელები აქეთ-იქით. შველა სასვლელს პირი ზევეთა ჰქონდა დატანებული. შველაფერში ეტყობოდა, რომ ეს სორო გაეთხარნათ ოსტატს და ხერხიანს ნადირებსა. ზანზრახ დაეტოვებინათ ამდენი გასავალ-გამოსავალი, რომ ვინც-ცობაა ხიფათი დაგვატყდეს, ადვილად ვუშველოთ თავსა ან ერთი გასავლიდან, ან მეორიდანაო.

სორო გაეთხარა ორს მელას—მამალსა და დედალსა. მსენი აქ სცხოვრობდნენ თავისი ექვსი ლეკვითა. ლეკვები ახალი დაყრილნი იყვნენ და თვალეები ჯერ არ აეხილნათ. ლედა ერთგულად უვლიდა თავისს შვილებსა, აწოვებდა ძუძუსა, ეალერსებოდა, ლოკდა და ერთს წამსაც არ შორდებოდა. მოშორება დედისათვის მაინც საჭირო არ იყო: ყოველ დღე მამალი მელა დადიოდა სანადიროდ და მოჰქონდა სოროში საქმელად ბევრ გვარი ნანადირევი: თევზები, ფრინველები, კურდღლები, თაგვები, ბაყაყები და სხვა წვრილმანი ცხოველები.

მელის ლეკვები თანდათან იზრდებოდნენ და ბოლოს თვალები აეხილათ. მათი მამაც სწორედ ამ დროს უცდიდა. ამას შემდეგ მამალი მელა ხშირად დაკუნცულებდა გარე-გარე და თავის სოროში იშვიათად მოდიოდა ნანადირევით. დედალ მელას მეტი გზა არა ჰქონდა, თვითონ უნდა ეწანწალა სანადიროდ. ბოლოს, მამალმა მელამ სრულიად ამოიკვეთა ფეხი თავის სოროში და სამუდამოდ დაანება თავი ცოლ-შვილსა.

მუდი დრო დაუდგა საწყალ დედალ მელასა: ჯერ თვითონ კარგი გამოკვება უნდოდა, რადგანაც მაწოვარი იყო; მერმე შვილები იმდენად მოეზარდნენ, რომ დედის რძე აღარა ჰყოფნიდათ და ხორცი უნდა ექმია ყოველ დღე. თვითონ ლეკვებს ჯერ ნადირობა არ შეეძლოთ, და მთელი ჯაფა დააწვა კისერზედ მათ საბრალო დედასა. ეს მთელი დღე დაწანწალებდა ტყესა და მინდორში საქმლის საშოვნელად და თანაც დიდი დარდი ჰქონდა თავისი ლეკვებისა: ვაი თუ მტერმა მიაგნოს, ან თვითონ დაშორდნენ სოროსა და დაიღუპნენო.

აი, მელამ გამოჰყო სოროდან თავისი მოგრძო დინგი, მიიხედ-მოიხედა თავისი ქვეიანი თვალებითა, ხომ ახლო-მახლო ადამიანი, ან საშიში ნადირი არ არისო. მერმე ნელ-ნელა გამოძვრა სოროდან, გაისწორა ტანი და სანადიროდ გასწია. მიკუნცულებს თავისს მოკლე და წვრილ ფეხებზედ, მიათრევს მიწაზედ გრძელსა და ბეწვიანს კუდსა და მიელავს ბუჩქებს შორის. აი, მან თხილის ბუჩქზედ დაინახა შორიდან მოზრდილი ჩიტი და მაშინვე გაჩერდა. მანვე მიწაზედ და დაიწყო ჩუმად ხოხვა მუცელზედ ჩიტისაკენ. ჩიტმა გააღო ნისკარტი და მხიარული გაღობა გააბა. რას მოიფიქრებდა საბრალო ფრთო-



სანი, თუ სიკვდილი ახლო იყო. მელა მას ეპარებოდა ისე ეშმაკურად, რომ ჩიტმა სრულიად ვერაფერი შეიტყუა. ჩიტი მხოლოდ მაშინ დაფაცურდა, როდესაც მელა ერთი მარდი შეხტომით მისწვდა და პირი სტაცა ბოლოში. ზახდა საბრალო მგალობელი კუდიანი მელას მსხვერპლი. ძუ მელამ საჩქაროდ მიატუნტულა თავის სოროში დატყერილი ჩიტი, ჯერ ასწავლა თავის შვილებს გაბრტყენა, მერმე დაუგლიჯა ლუკმა-ლუკმა და გაუნაწილა.

მთი ჩიტი რას ეყოფოდა ექვს ლეკვსა. მელა ხელმეორედ გაიქრა ტყეში. ბევრი ეცადა, მაგრამ ვერაფერი იგდო კლანკებში. მეთი ჯანი არ იყო, თავგებზე უნდა ეკადრა ნადირობა. მოჰკრა თვალი ორს თავგსა. მიეპარა, ისკუპა და ზევიდან დაახტა. მარდი თავგები გაუძვრნენ და ახლო სოროში შეცვივდნენ. ზაბრაზებული მელა მიადგა სოროსა და იმდენი თხარა, მინამ თავგებამდინ მიახწევდა. ღაიქირა და წამოასხა. თავგები ჯერ ისევ ცოცხლები იყვნენ, როცა სოროში მოიყვანა; მაგრამ მელამ ისე მიამკვდარა, რომ ძლივსლა სუნთქავდნენ და გაქცევის თავი სრულიად აღარა ჰქონდათ. ამ ცოცხალ-მკვდარს თავგებზედ მელა ასწავლიდა თავის შვილებსა, თუ როგორ უნდა ენადირათ და ექირათ თავისი საკბილო ცხოველები. ლეკვები მარდად ეცემოდნენ ხოლმე თავგებსა, დაიქერდნენ ბჟყალებითა და ბურთივით აგორებდნენ მიწაზედა. მერმე თავს დაანებებდნენ, განზედ გადგებოდნენ და თვალს აღევნებდნენ შორიდან. რამწამს თავვი გაინძრეოდა გასაქცევად, ლეკვები ისკუპებდნენ, ზედ დაახტებოდნენ და მაგრად ჩაავლებდნენ კლანკებსა და კბილებსა. ბევრი წვალება ნახეს საწყალმა თავგუნებ-

მა, ვიდრე მელა მისცემდა თავისს შვილებს ნებასა შე-  
ეჭამათ ისინი.

შოველ ღღე მელას თავისი ლეკვები გამოჰყავდა სოროდან სათამაშოდ და გასართობად მზის გულზედ. ამასთან ასწავლიდა სხვა-და-სხვა პატარა სულდგმულების ჭერასა. მართხელ მელა გაემგზავრა პატარა ტბისკენ, სადაც გარეული იხვები იცოდა. მიაგნო იხვის ბუდესა და სამი ჭუკი ამოიტაცა. ზახარებული მელა უკვე აპირებდა მოეკურცხლა ნადავლით თავისს სოროსკენ, მაგრამ სწორედ ამ დროს ყურთან გამოუზუზუნა ტყვიამ. ზარდაცემულმა გაიძვერამ თავის ახლო დაინახა მონადირე და მისი მწვეარი, რომელიც გამალებული გამოეჩანა მელასკენ. მელა დაიძრა ადგილიდან და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუსვა სოროსაკენ. მწვეარი უკან დაედევნა. მელა ისარივით მიელავდა; ხოლო მწვეარი ერთი-ორად უფრო დიდს ნახტომებს გადადიოდა და თან-და-თან ეწეოდა თავისს მსხვერპლსა. ზულ-ვახეთქილი მელა ფიქრობდა, წავიდა ჩემი საქმე, საცაა ეს წყეული ძალი პირსა მტაცებსო, მაგრამ სწორედ ამ დროს მწვეარს წინა ფეხი ღრმა და განიერს სოროში ჩაუვარდა და ყირამალა გადაიარა. მინამ წამოვარდებოდა და გამოუდგებოდა, მელამ კაი მანძილი გაირბინა, მიუახლოვდა თავისს სოროსა და შიგ ბლლარძანი გაადინა. მწვეარიც მალე მივარდა, უნდოდა შიგ შეჰყოლოდა მელასა, მაგრამ სოროს პირი ვიწრო იყო, ვერ შეეტეოდა, და თუნდაც შეტეულიყო, მელა შიგნიდან თავ-პირს დაუგლეჯდა და ცუდ ღღეს დააყენებდა. ზაკაპასებული მწვეარი იდგა სოროს პირსა და ჰყეფდა. მონადირე მოვიდა, კარგად გასინჯა სო-

რო, გარშემო ადგილი დაათვალიერა საკვლავად და გასწია თავისს გზაზედ.

მეორე დილაზედ მელა ხელ-ახლად გავიდა საშოვარზედ და თავისი ლეკვები მარტოდ დასტოვა. შინდორსა და ტყეში ვერაფერი იგლო კლანქებში, გასწია მდინარისკენ. ღაინახა: ორმა მეთევზემ წყლიდან ნაპირს გამოათრიეს თევზით სავსე ბადე. შიიპარება ჩუმად ჩვენი გაიძვერა ბადისაკენ, ბუჩქებს ეფარება. აი, სულ მიუახლოვდა. წაკუზული მეთევზეები თევზსა ჰკრეფენ და ვერაფერსა ჰხედავენ. უცებ გაექანა მელა, დასტაცა პირი ერთს ღიდს კაპუეტსა და მოცხრილა. ახლა კი შეასწრეს თვალი მეთევზეებმა ეშმაკის ნადირის ოინსა, მაგრამ რას უზამდნენ. შირბის სოროსაკენ ჩვენი მელია და ღიდს სიხარულში არის, რომ თავისი ლეკვებისათვის კარგი საუზმე მიაქვს. მაგრამ უი! მელა საშინლად შეშფოთებული შესდგა ერთს ადგილს. რა მოეჩვენა? თურმე ნუ იტყვიოთ, ყველა მისი ლეკვები სოროდან გარედ გამოსულან, მხიარულად თამაშობენ მწვანეზედ და ამავე დროს მათ ახლო სდგას მონადირე, ბუჩქს ამოფარებული და მიზანში იღებს დაუდევარს და გამოუცდელს ლეკვებსა. რა ექმნა საწყალ მელასა? შერც თავისს თავს იმეტებდა და შვილებიც მეტად ეცოდებოდა. „რომ გავექანო ლეკვებისაკენ, მონადირე მომასწრებს და მომკლავს, და თუ აქ დავრჩე, რითი ვუშველო ჩემს ბედკრულს შვილებსაო“, ფიქრობდა მელა. ამასობაში უცებ იქექა თოფმა და ტყვია მოხვდა ერთს ლეკვსა. შველა ლეკვები ყფით და წკმუტუნით გულ-გახეთქილები შეცვივდნენ სოროში. ღედა მელამ იდროვა, თვითონაც გაქანდა და შევარდა შიგა მონადირემ თოფის გატენა ვერ მოასწრო და მისმა

ღღმაც ველარ სტაცა პირი. მონადირე გაბრაზებული და-  
ბრუნდა შინისაკენ და დაქრილი ლეკვი იქვე დასტოვა.  
მს საცოდავად წკმუოდა და სისხლი თქრიალით მისდი-  
ოდა, მაგრამ არც დედას და არც დაძმებს ის არ შეეცო-  
დათ, პირ-იქით, სისხლი რომ დაინახეს, ყველანი ერთად  
მისცვივდნენ საბრალო ლეკვსა, ლუკმა-ლუკმა დაგლიჯეს  
და შესჭამეს.

მს საზიზღარი ზნე სხვა მხეცებსაც სჭირთ, მაგალი-  
თად მგლებსა, ტურებსა. თუ ბრძოლის დროს მათი ამხა-  
ნაგი დაიჭრა და წაიქცა, შველის მაგივრად, თვითონვე  
მისცვივიან და ჰგლეჯენ.

სულ-მდაბალს ადამიანებშიაც ვხედავთ ამ მხეცურს  
ზნესა. თუ გაქირებაში ნახეს ადამიანი, თუნდა მათის  
კეთილის-მყოფელიც იყოს, თვითონაც ფეხს დააქერენ,  
საქმეს უფრო გაუქირებენ. პირ-იქით, ნამდვილი ადამი-  
ანი, სულგრძელი და პატიოსანი, გაქირვების დროს შვე-  
ლის ყველასა: არა მარტო ნაცნობსა და მეგობარსა, არა-  
მედ უცნობსაცა და, ასე გასინჯეთ, მტერსაცა. ამიტომ  
მხოლოდ გაქირვებაში ვიცნობთ კაცსა და დავინახავთ:  
უფრო მხეცია იგი ზნითა, თუ ნამდვილი ადამიანი.

ღავუბრუნდეთ ჩვენს მელას. უბედური შემთხვევის  
შემდეგ უნდოდა ბინა ეცვალა, წყეულს მონადირეს მო-  
შორებოდა, დაჰმალოდა, მაგრამ ვერა გააწყურა: ახლო-  
მახლო მოხერხებული სორო ვერ იპოვნა და შორს წასხ-  
მა პატარა ლეკვებისა შეუძლებელი იყო. თვითონ ჯე-  
რედ შორს სიარული არ შეეძლოთ და დედაც ვერ მო-  
ერეოდა, რომ ლეკვები გადაეყვანა თვითონ, რადგანაც  
უკვე მოზრდილნი იყვნენ. ამიტომ, მეტი ღონე არ იყო,  
ისევ ძველს ბინაზედ უნდა დარჩენილიყო.

ბაზაფხული გავიდა, დადგა შემოდგომა, დაიწყო გაბმული წვიმები და დაიჭირა სიცივეები. ტყეში შეცოტავდნენ ფრინველები და პატარა ნადირები. ფრინველები შორს თბილს ქვეყნებში წავიდნენ, ნადირები მიიმალნენ თბილს ბუნაგებსა და სოროვებში. ამიტომ ჩვენი მელა თავისი ლეკვებით ხშირად რჩებოდა მშვიერი. მართხელ მთელი დღე არაფერი არ უქამიათ, გარდა დამპალი ვაშლებისა. მს ვაშლები მელამ მახლობელი ბალიდან მოზიდა. საღამო ჟამზედ ხელახლად გასწია საშოვარზედ. მდინარის პირზედ ცხვრის ფარა სძოვდა. მელას უნდოდა პატარა კრავი როგორმე მოეტაცნა, მაგრამ თავი დაანება, რადგანაც მოაგონდა, რომ ერთხელ ამისთანა გაბედულობისათვის ძლიერ შავი დღე დააყენეს: მამალი და დედალი ცხვრები მიესივნენ და კინალამ ფეხებით გაქყლიტეს, თავი ძლივს დაახწია. „შკეთესი იქნება, სოფელში ჩუმად მივიცუნცულო, ფიქრობდა მელა, და მოვიპარო ან დედალი ქათამი, ან მამალი, იქნება ვერავინ გამიგოს და ქურდობა შემრჩესო“. მელა სოფლისაკენ გაეშურა, მიუახლოვდა და მიიპარა ერთის გლეხის კარმიდამოზედ, რომელიც სოფლის განაპირას სცხოვრებდა. მელას ბედად, ამ გლეხის ძმას წინა დღით ძაღლები ტყეში წაესხა. მელამ მიაგნო საქათმესა და დაუწყო ძირს გამოთხრა. მიწა საქათმეს ქვეშ ფხვიერი დაუხვდა. მაგრამ თხრას მაინც თითქმის გათენებამდინ მოუნდა. ბოლოს მელამ გათხარა შესაძრომი, მოექცა შიგ საქათმეში, სტაცა პირი მამალსა, ერთს წამს წაახრჩო, რომ არ ეყვირნა, და გამოაძვრინა გარედ. მირბის ჩვენი მელა გახარებული და მიარბევინებს მამალსა. პატარახანს უკან დაიბადა თავისს ბუნაგთანა. მისს ლეკვებს დიდი სიხარუ-

ლი შეუდგათ, როცა მამალი დაინახეს. მრთს წამს გაუბურტყნა მამალი, დაგლიჯა ნაწილ-ნაწილად და აქამა. **თ**ვითონაც, რასაკვირველია, ფერდი ამოიძსო.

**მ**ეორე დღიწად გლეხმა შეიტყო მელის ოინი და სთქვა: თუ მე იმას კისერი არ მოვტეხე, საქათმეს ამიოხრებსო.

**მ**ესამე დღეს მელა ისევ გაემგზავრა ცნობილის საქათმისაკენა. **შ**ორიდგანვე შემოესმა ძაღლების ყეფა და შეფიქრიანდა; მაინც გაიარა კიდევ რამდენიმე მანძილი და უცებ შესდგა. **რ**ა მოეფეთა? **ც**ხვირში ეცა რალაც სააჟური სუნი. **მ**შიერს მელას კბილებმა კაწკაწი დაუწყო. **ბ**აიკმინდა სული და ჰაერს სუნავდა, თან თვალებით გაფაციცებით ეძებდა, რომელი საკმელი აჩენდა ამ ნეტარს სუნსა და სად იყო ეს საკმელი. **მ**რთიც ვნახოთ, დაინახა ხის ტოტზედ ვეებერთელა ნაქერი ხორცი. **მ**ერაფრად ეპიტნავა. **მ**ელა ფიქრობდა: „ტყეში რა უნდა ხორცის ნაქერსა და ისიც ხეზედ ჩამოკიდებულსა, უეჭველად ეშმაკს ადამიანს ჩამოუკიდნია ჩემს მოსატყუებლად. **რ**ოგორ არა! **მ**ერ მოგართვი, მოსატყუარი თავი არ მახია“. **მ**აგრამ საქმე ის იყო, რომ მელას ძლიერ შიოდა და სოფლამდინ კი ჯერ კიდევ დიდი მანძილი იყო. **ა**მასთან ძაღლების ყეფაც მოისმოდა. **ღ**იდხანს უარა ხეს გარეშემო და თვალეზი დაებრიცა გემრიელს ლუკმაზედა. **ბ**ოლოს მელამა სთქვა თავისს გულში: იქნება მწყემსმა შეინახა ეს ხორცი ხეზედ ხვალისათვის და მე კი ტყუილად მეშინიან. **ა**ხლა კი ველარ მოითმინა და შეხტა მელა მალლა ხორცისაკენა. **ს**აუბედუროდ, ვერ მისწვდა და ძირს დაეცა. **მ**იწაზედ ბალახებში ხორცის პირდაპირ მახე თურმე იყო დაგებული. **მ**ელას ცალი ფეხი მახეში გაეზა და თქვენს მტერს, რაც ის საცოდავს მდგო-

მარეობაში ჩავარდა. მელა ხან აქეთ მიაწყდა, ხან იქით, იწვედა, იბრძოდა, თავი უნდა დაეხწია; მაგრამ ფეხი მაგრა ჰქონდა გაბოქილი და ვერაფერს გახდა. ბოლოსა სთქვა: თავისს დაღუბვას, ცალის ფეხის მოკლება მიიჩვენიაო; პირი მიიღრცა მახისაკენ, მოიღრღნა მახეში გაბმული ფეხი და სამფეხა გაიქცა.

ახლა როგორღა მივალ შინა? შიქრობდა მელა. ჩემი შვილები რო მნახვენ დაქრილსა და დასისხლიანებულსა, ვერ მოითმენენ, მომცვივიან და უთუოდ შემეკამენ. ისევ ისა სჯობიან, სრულიად აღარ ვეჩვენო იმათ. ღეე, იცხოვრონ, როგორც უნდათ, მაინც ისე პატარები აღარ არიან. მელა დიდხანს ილოკავდა თავისს იარასა, ისვამდა ზედ ბალახსა და მიწასა, რომ სისხლის დენა შეეწყვიტნა და მოერჩინა. მართი კვირის შემდეგ ფეხი გაუსაღდა და სამს ფეხზედ იწყო სირბილი ისეთივე სიმარდით, როგორც წინად ოთხს ფეხზედ დაბოდა.

ღეკვები დიდხანს ელოდნენ თავისი დედის დაბრუნებასა და საცოდნოდ წკმუტუნებდნენ. როცა შიმშილმა ძლიერ შეაწუხათ, გამოძვრნენ სოროდგანა და თვითონ წავიდნენ საზრდოს საშოვნელად. დიდხანს ვერ იცოცხლეს ობლებმა უდედოდ. დედის ოსტატობა და ეშმაკობა ჯერედ მათ შესწავლილი არა ჰქონდათ და ამიტომ სხვა-და-სხვა ხიფათს ვერ გადაურჩნენ. ზოგი შიმშილმა და სიცივემ გამოასალმა წუთი-სოფელსა, ზოგი მგლებს ჩაუვარდა კლანქებში, ერთი მონადირემ მოკლა, გაატყავა და ბეწვი მექედეს მიჰყიდა. ბადარჩა მხოლოდ უფროსი ძუ-ღეკვი, უფრო ხერხიანი და ღონიერი, რომელიც მესამე წელსვე მოეკიდა ქმარ-შვილიანობასა და გააგრძელა თავისი გვარეულობის ჩამომავლობა.

## ს ა რ ჩ ე ვ ი.

ჩიტი და მანო. . . . .	3
ხანდრო და ვაშლი . . . . .	—
პატიოსანი და უპატიოსნესი (გადმოკეთებული). . . . .	4
ვასო და ჩიტები. . . . .	6
ხამი მომკალი. . . . .	7
ორკეცი ფასი სწავლისა . . . . .	8
სიკეთე ბოროტისათვის . . . . .	—
შეგობრების დევნა . . . . .	10
შკითხავი . . . . .	—
სპილო და ჭიანჭველები (გადმოკეთებული). . . . .	11
ბატი და ღორი (გადმოკეთებული) . . . . .	13
შვახალია მკილაფი (გადმოკეთებული). . . . .	14
უძლიერესი სიყვარული მოყვასისა. . . . .	16
მონადირე . . . . .	19
თავის გაწირვა მტრისათვის . . . . .	21
მარო და მერცხალი (გადმოკეთებული) . . . . .	22
კრუხების ბრძოლა ქორთან . . . . .	25
მანო და ჩიტი . . . . .	27
მელო და ჯიბლიბო. . . . .	30
ტოროლას ბარტყების სიყვარული . . . . .	36
ბულბული და გუგული. . . . .	39
თევზაობა. . . . .	41
ცოფიანი ძაღლი. . . . .	48
მელია და მისი სახლობა (გადმოკეთებული). . . . .	54





გადაეცა წარმოებას 4.12.91. ხელმოწერილი დასაბუქდად 16.03.92,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,86, პირობითი ნაბუქდი  
თაბახი 4, საბუქდი ქალაქი № 1  
ტირაჟი 50 000 შუქვეთის № 5414.

### ფახი სახელშუქრულებოა

სრულუიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა  
„სარანგი“, ქუთაისი გროშაშვილის № 6.

საქართველოს რუსუბლიკის ბუქდვითი სიტყვის დეპარტამენტის  
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება  
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

61

5